# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 2014 წელი.

№214 (7595)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


**ლევან ბერძენიშვილი:**

**დედას რომ შვილი მოუკვდება და ციცხალი ჰგონია, დაახლოებით ისეა ნაციონალების საქმე** ④



**დემოკრატია დემოსს, ხალხს გულისხმობს, თუმცა, ხალხს არსად არავინ არაფერს არ ეკითხება...** ⑥ ⑦

**ნატოს საწვრთნელი ბაზა – „უსაფრთხოების ქოლგა“ საქართველოსთვის თუ „წითელი ნაჭერი“ რუსეთისთვის** ③



**გაისად პენსია 5-10 ლარით გაიზრდებაო!..** ⑤

**ეგენი ჩვენ გვიგდებენ მასხრად თუ საკუთარ თავს?**



**ხელოვნების მუზეუმი შველას ითხოვს** ⑨

**მიშა ცხოვრებაში უნდა გენახათ!..** ⑫



◉ დღის ამბრაზურიდან

# ნაციონალთა ხმაგამყივარი მესაყვირე „რუსთავი-2“ იდეოლოგიურ ებოლას ავრცელებს ქვეყანაში

— **თუკი** ნაციონალური მოძრაობის მიერ ქვეყანაში მასშტაბური დესტაბილიზაციისთვის მზადების საკითხზე გამოძიება უკვე მიმდინარეობს, რაღას უყურებენ ეგ არდალოცვილები! განა ეგრეთ წოდებული P. S. რომელსაც ნაციონალების შუმი მხარდამჭერი მიმისტი დავით კიკალიშვილი უძღვება, სწორედაც ქვეყანაში დესტაბილიზაციას არ ემსახურება?!.

— ან ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის გამოსვლა რას ჰგავდა! ვითომ თვითონ ააშენა ქვეყანა, ვითომ აფხაზეთისა და ოსეთის საკითხებიც მოაგვარა და ღარიბაშვილს „თვითგამორკვევის“ ტერმინის ხმარებისთვის თანამდებობიდან გადადგომას ურჩევს.

— თუგინდ მიშას „სიმაგრეზე“ მომღერალი ხაჩიძე ვთქვათ, ყოფილი გარემოს მინისტრი, რომლის სამინისტროშიც თითქმის ოცდაათი კაცი გახდა დასაჭერი. ახლა გამოდის და, როგორც იტყვიან, მიწაში დებს ახალ მთავრობას, რომლის ყველაზე დიდი დანაშაული, ალბათ, ის არის, რომ უმალ და სათანადოდ არ მიაგებს საპასუხო საზღაურს ამ აგრერიგად გაუტიფრებულ ნაციონალებს.

— რა უნდოდათ, მაგალითად, საბერძნეთში მინაშვილსა და წიკლაურს? ნამდვილად გასარკვევია ის საკითხიც, რა პოლიტიკური საბუთი ჰქონდათ საფრანგეთისა და საბერძნეთის სასამართლოებს, რომ არც აშკარად დამნაშავე კეზერაშვილი და არც ახალაია არ გადმოსცეს საქართველოს მართლმსაჯულებას?!



— უგულავა პირდაპირ სასამართლო პროცესებზე აკეთებს პოლიტიკურ განცხადებებს და „რუსთავი-2“ სიტყვასიტყვით გადმოსცემს, ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ხელისუფლების შეურაცხმყოფელი ეპითეტების გარდა, პირდაპირ მოუწოდებენ მოსახლეობას ამ „უვარგისი მთავრობის“ შეცვლისკენ.

— ამ საქმეში ბოკერიასა და ჩერგოლეიშვილს არც გაბაშვილი, დარჩიაშვილი და ჭიაბერაშვილი ჩამორჩებიან. მაგათი ლექსიკა მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დამხობის ჟინით არის გაჯერებული.

— დესტაბილიზაციას, ჩემო სიცოცხლევ, მარტო თოფისა და ზარბაზნის სროლა არ ახდენს. შხამიანი სიტყვა მოგეხსენებათ, ყველანაირ იარაღზე უარესია.

— ჰოდა, ეგენი მაგ შხამიანი სიტყვით ნამდვილად იდეოლოგიურ ებოლას, ანუ ახალი სახის შავ ჭირს ავრცელებენ იმის იმედით, რომ მოსავლად სწორედ დესტაბილიზაციას მოიმკიან და თავიანთი ბნელი გეგმების განხორციელებას შეძლებენ.

— ამ იდეოლოგიურ ებოლას ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მინისტრი სერგეენკო ნამდვილად ვერ უშველიან, აქ გადამწყვეტი სიტყვა ისევ და ისევ მინისტრ ჭიკაიძეს ეკუთვნის, რომელსაც პირდაპირ ევალება აგრერიგად შეტევაზე გადმოსულ ნაციონალთათვის რაც შეიძლება სწრაფად ანტიებოლური შრატის შეშხაპუნება.

— ყოველგვარი დაყოვნება ამ შემთხვევაში ნამდვილად დამარცხების ტოლფასია.

— არადა, როდემდე უნდა გაგრძელდეს ნაციონალთა და თვითონ „რუსთავი-2“-ის მხრიდან ამდენი დემაგოგია, შანტაჟი და პროვოკაცია, ჭორებსა და ცილისწამებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

— ერთი სიტყვით, იდეოლოგიური ებოლას ვირუსი უკვე საშიშ სახეს იღებს საქართველოში...

**რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..**

## პრეზიდენტი 2015 წლის ქალის წლად გამოცხადებას უჭერს მხარს



**საქართველოს პრეზიდენტი გუშინ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებს შეხვდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან აცნობეს, შეხვედრაზე საუბრის მთავარი თემა ბოლო დროს ქალთა მიმართ ძალადობის გახშირებული ფაქტები და მათი პრევენცია იყო.**

ქვეყნის პირველმა პირმა სასულიერო ლიდერების მოსაზრება მოისმინა, თუ როგორ შეიძლება აღნიშნული პრობლემის მოგვარება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია კომპლექსური სამუშაოების შესრულება. საუბარი შეეხო ამ მხრივ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. ასევე ითქვა, რომ აღნიშნულ პრობლემას სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს. სასულიერო პირების განცხადებით, საკუთარ მრევლთან ამ მიმართულებით მუშაობას გააღრმავებენ.

„ჩვენ შევხვდით საქართველოში მოღვაწე სასულიერო ლიდერებს იმ ტრაგედიებთან დაკავშრებით, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში უკვე ტენდენციად ჩამოყალიბდა. ერთმანეთს გავუზიარეთ ის ტკივილი, რომელიც ყველას ერთად გვაწუხებს და გადავწყვიტეთ, რომ, უპირველესად, ჩამოვაყალიბოთ სამოქმედო გეგმა, უფრო გრძელვადიანი. იყო ასეთი იდეაც, რომელსაც მე მხარი დავუჭირე, რომ 2015 წელი გამოცხადდეს ქალის წლად და ამ ძალიან დიდ პრობლემას ერთობლივად დავუპირისპირდეთ. ერთი მხრივ, ჩემს რიტორიკაში ყოველთვის ხაზგასმით აღვნიშნავ ამ პრობლემას. მეორე მხრივ, თავის ქადაგებებში ყველა სარწმუნოება გააააქტიურებს ამ საკითხს. მესამე – ჩვენი შეხვედრა დავიწყეთ იმით, რომ ჩვენ ავიღეთ ის წილი პასუხისმგებლობა, რომელიც აქვს სახელმწიფოს. თუმცა, გავიაზრეთ ისიც, რომ მარტო სახლმწიფო ამას ვერ დაძლევს და საჭიროა ერთად დგომა. იმედი მაქვს, ეს პოზიტიურად აისახება პრობლემის მოგვარებაზე“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

შეხვედრას პირველი ლედი მაკა ჩიჩუაც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი.

## გაგვაკონტროლეთ, რას ვაკეთებთ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით



**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი მედიას და არასამთავრობოებს მიმართავს, მაქსიმალურად ჩაერთონ და გააკონტროლონ მთავრობა.**

„მე მინდა გთხოვოთ, მაქსიმალურად იყოთ ჩართულები და გაგვაკონტროლეთ. გააკონტროლეთ რას აკეთებს მთავრობა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მე უბრალოდ მაინტერესებს, კითხვა მაქვს – არ გაინტერესებთ ეს?“ – მიმართა პრემიერმა მედიის წარმომადგენლებს.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, მან მოისმინა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის და მედიის წარმომადგენლების შეფასებები, რომ არ იციან, რას აკეთებს მთავრობა.

პრემიერის განცხადებით, ეს კითხვა ხშირად მიზანმიმართულად სპეკულირებს, იმისთვის, რომ მოსახლეობას გაუჩინონ განცდა, თითქოს მთავრობა მათთვის არაფერს აკეთებს.

„ეს არის ტყუილი. თუნდაც ის კითხვა – სად არის 60 ახალი საწარმო? 74 ახალი საწარმო გავხსენით ჩვენ პირობებში, ჩვენი დახმარებით. პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ არ ყოფილა არასდროს. ჯანდაცვისთვის დაფინანსების გაზრდა, პენსიების გაზრდა და სოციალური დახმარების გაორმაგება –- ეს არის რეალური შედეგები, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, მაგრამ საუბედუროდ, ამის მიტანა არ ხდება მოსახლეობამდე. მე და მთელი მთავრობის წევრები, კიდევ ერთხელ გიდასტურებთ სრულ მზადყოფნას, რომ ვართ მზად, ვიყოთ ღია და გამჭვირვალე. გაგვაკონტროლეთ, რას ვაკეთებთ მოსახლეობის პირობების გაუმჯობესების მიზნით“, – აღნიშნა პრემიერმა.

## იქმნება რეგიონების განვითარების სახელმწიფო კომისია

**საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ კერძო ბიზნესს მაქსიმალურად დავეხმაროთ, განვავითაროთ მცირე და საშუალო ბიზნესი, მსხვილ ბიზნესს კი მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სამთავრობო ინიციატივის „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტის, „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა საქართველოში“ პრეზენტაციის შემდეგ განაცხადა.**

მისი თქმით, პროგრამისთვის „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტის დამატება არის კიდევ ერთი ნათელი დემონსტრირება იმისა, რომ მთავრობას სურს, მოსახლეობამ რეალური შვება იგრძნოს და რეგიონები განვითარდეს.

„მე განსაკუთრებულ ყურადღებას ვანიჭებ რეგიონების განვითარებას. უახლოეს დღეებში ჩვენ შევქმნით რეგიონების განვითარების სახელმწიფო კომისიას. ეს იქნება ახალი მიდგომა და ჩვენს ხედვებს რეგიონის განვითარებაზე წარვუდგენთ საზოგადოებას.

ჩვენს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად მთელი რიგი დარგები არის წახალისებული საქართველოში. იგივე ხილის, თხილის, ღვინის, ყურძნის წარმოება. ეს არის კონკრეტული დარგები, რომელმაც დიდი განვითარება ჰპოვა საქართველოში უახლოესი 2 წლის განმავლობაში. მაგალითად, ხილის ექსპორტი 2012 წელს თუ იყო 71 მილიონი ლარის ღირებულების, წელს უკვე, რვა თვის მონაცემებით, არის 221 მილიონი ლარის ღირებულების ხილი ექსპორტირებული. ღვინოს რაც შეეხება, 73 მილიონი ლარის ღვინო იყო ექსპორტირებული 2012 წელს, წელს ჯამში 229 მილიონი ლარის არის. რეალურად გაჩნდა მოტივაცია. 4 ათასი ჰექტარი არის გაშენებული ახალი ვენახები კახეთის რეგიონში, 30 ჰექტარის უნიკალური ჯიშის ხვანჭკარის და უსახელაურის ჯიშის ვენახებია გაშენებული რაჭაში. რაც შეეხება თხილს, 170 მილიონი ლარის თხილია სამეგრელოში რეალიზებული. ველოდებით, რომ დამატებით კიდევ 30-40 მილიონის იქნება რეალიზებული“, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

## დიპლომატიური არხებით საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე მუშაობა არ მიმდინარეობდა

**საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის დავით ზალკალიანის ინფორმაციით, არანაირი დიპლომატიური არხებით საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრაზე მუშაობა არ მიმდინარეობდა.**



საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე აცხადებს, რომ თუ მაჭავარიანს რაიმე საქმიანობა ჰქონდა დიპლომატიური ურთიერთობების ჩარჩოებს მიღმა, ეს მისთვის უცნობია. თუმცა, რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების მიერ საჯაროდ გაკეთებული განცხადებების იქით მსგავსი შეხვედრის მომზადებაზე საქმე არ წასულა.

„ჩვენთვის ცნობილი იყო ის საჯარო განცხადებები, რომელიც გაკეთდა იმ პერიოდში. ამის იქეთ საუბარი არ წასულა. მოგეხსენებათ, რომ ვიზიტების ორგანიზება ძალიან სერიოზული საკითხია და საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა იყოს ჩართული და დიპლომატიური არხების საშუალებით ხორციელდება ყველა საორგანიზაციო საკითხის შეთანხმება. რუსეთთან ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, ეს უნდა მომხდარიყო შვეიცარიის კონფედერაციის საშუალებით, არანაირი არათუ ნოტა, ოფიციალური წერილიც კი არ გაგვიგზავნია იმის იქით, რაც მოგახსენეთ, რომ იყო საჯარო განცხადებები. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ ვმუშაობდით ამ ვიზიტზე, თუ ვანო მაჭავარიანს რაიმე საქმიანობა ჰქონდა ამ დიპლომატიური ურთიერთობების ჩარჩოებს მიღმა, ეს ჩემთვის უცნობია“, – განაცხადა დავით ზალკალიანმა.

## ან მინისტრებს სჭირთ ამნეზია, ან მაჭავარიანს ესიზმრება ფერადი სიზმრები

**მინისტრთა კაბინეტის მოქმედი წევრები პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის გაზეთ „კვირის პალიტრისთვის“ მიცემულ ინტერვიუს ეხმაურებიან, სადაც ვანო მაჭავარიანი გიორგი მარგველაშვილისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრის მზადებაზე საუბრობს. მინისტრების განცხადებით, მათ ამის შესახებ არაფერი სმენიათ.**

„რა სისულელეა, პირველად მესმის“, – აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ.

საკითხს გამოეხმაურა შრომის, ჯანრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო.

„მე ვერ ვიხსენებ, რომ ამ შეხვედრის ორგანიზების საკითხებში ჩართული ვყოფილიყავი, შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით“, – აღნიშნა დავით სერგეენკომ.

საკითხთან დაკავშირებით მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ შს მინისტრ ალექსანდრე ჭიკაიძესა და ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურს.

საგარეო ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის ყოფილი მრჩეველი ვანო მაჭავარიანი აცხადებს, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მარგველაშვილ-პუტინის შეხვედრა მზადდებოდა, რომელიც იმის გამო ჩაიშალა, რომ ეს შეხვედრა საქართველოს მთავრობამ არ მოინდომა.

როგორც ვანო მაჭავარიანი აცხადებს, პუტინ-მარგველაშვილის შეხვედრა არ უნდა ყოფილიყო შეხვედრა შეხვედრისთვის.

„ჩვენ ამ მიმართულებით ნამდვილად ვმუშაობდით, ოღონდ არა ისე, რომ ეს ყოფილიყო შეხვედრა შეხვედრისთვის. ეს უნდა ყოფილიყო საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ჩართულობით. ამაზე ვესაუბრეთ ჩვენი პარტნიორი ქვეყნების პრეზიდენტებსა და პოლიტიკოსებს, მათ შორის – შეერთებულ შტატებს“, – განაცხადა მაჭავარიანმა.

კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● სერგომ, მაია ჩემი მოგვარე არ არის – ჩამიდესო.**

**● „რუსთავი-2“- ის სული საზმაუს კვერცხშია დამალული,შეიყვანეთ ფინანსური და ნახავთ.**

**● აუზს, სადაც დეფი ცურავს ხოლმე, ეწოდება „დეფინარიუმი“...**

**● გინდათ, მითხრათ: ბრეივიკი რომ შვა ნორვეგიამ, ან და ჩიკატილო რომ ჰყავდა რუსეთს, ეს ხელისუფლებების ბრალია თუ როგორაა საქმე? გლობალური ცივილიზაციის პირობებში, როცა** TV-თი თუ ნებისმიერი კომუნიკაციის საშუალებით ამხელა აგრესია და ღვარძლი რომ გადმოსჩქეფს, ფილმებსა და თამაშებში მხოლოდ ხოცვა-ჟლეტაა, ნუთუ ამაზე არ გიფიქრიათ? დიდი ხანია დემოკრატიის ავანგარდ აშშ-ში სკოლაში შეიარაღებული არავინ შევარდნილა?

**კომუნისტების დროს ამბობდნენ ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო, მერე იყო მცდელობა რომ დასავლეთიდან ამოსულიყო, ამჟამად ჩვენი მზე მაგრად ჩასვენებულია...**

**● ისე, ვარსქენსაც ძალიან უყვარდა შუშანიკი, მაგრამ ისე სცემდა, სულ ალილავებდა.**

**ქალებო, სანამ გათხოვდებით, საქმროსგან „ფსიქო“ მოითხოვეთ, ოღონდ ეგენი ისეთები არიან, ლეჩკომბინატში 45 ლარს გადაიხდიან და „ტუფტას“ მოგიტანენ, სჯობს, თავად გაჰყვეთ შემოწმებაზე...**

**● როდემდე უნდა იარონ ამ პოლიტიკოსებმა ტრუპებზე და საკუთარი სატანას მიყიდული სული გვამებით აპრავონ...**

**მაგარ საგიჟეთში ვცხოვრობთ, ფუუუ მეზიზღება უკვე ამ სახეების დანახვა.**

**● გამაგებინეთ, ამ ქვეყანაში ყველაზე რეაქციონერი და შავრაზმული აზროვნების ადამიანები რატომ არიან წარმოჩენილნი დემოკრატიის „ჯეფერსონ კორიფეებად“ და.. რატომ მიკითხავენ მე, დემოკრატიულ საზოგადოებაში გაზრდილ ადამიანს, დემოკრატიაზე და ადამიანის უფლებებზე მორალს? ან მარტო მე რა შუაში ვარ, ვინ მისცათ ამ ადამიანებს მანდატი, ერს უკითხოს ლექციები ადამიანის უფლებებზე, ძალადობაზე, დემოკრატიის პრინციპებზე, და, ამ დროს ნებისმიერი მათი განცხადება იყოს შავრაზმელობის და შეუწყნარებლობის კლასიკური ნიმუში?.. დღითი დღე ვრწმუნდები.. მოაცილეთ ეს ადამიანები საჯარო სივრცეს.. ტელეეთერებს და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება... არა და ვიქნებით იმ მდგომარეობაში, რაშიც ახლა ვართ...**




**● ბუჯოოოო, ნახევარი საქართველო 315 მუხლით გყავდათ, თქვე ოჯახდანგრეულებო, გამოკეტილი ციხეებში და ახლა იძახით საბჭოთა გადმონაშთია ეგ სტატიაო? ვაჰ რა უტიფარი არსებები ხართ!..**

**● ქალთა უფლებებზე მოტირალებისთვის ვიმეორებ,აირო ოხრავენ, დედა, რა ველურია საქართველო და რა ტოლერანტული – ევროპა... არ დაგავიწყდეთ რომ, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ შოთა რუსთაველმა მეთორმეტე საუკუნეში დაწერა საქართველოში..., ქალი მეფე თამარი ისევ მეთორმეტე საუკუნეში გვყავდა ქართველებს.. დედის კულტი საქართველოში ჩვენს წელთაღრიცხვამდე იღებს სათავეებს.. ხოლო ყველაფერს საუკეთესოს და მშობლიურს მხოლოდ ქართველები ვაქრმევთ დედის სახელს (დედაბოძი, დედასამშობლო, დედამიწა....) რაც ქალის პრივილეგიას და მის დომინანტურ მდგომარეობას წარმოაჩენს ქართულ საზოგადოებაში, ხოლო ბელგიელმა და ფრანგმა ქალებმა, არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ 1946 წელს მიიღეს და ქმრის უნებართვოდ მუშაობის დაწყების კანონი საფრანგეთში არც მეტი არც ნაკლები, 1967 წელს შემოიღეს... პირველი აკადემიკოსი ქალი საფრანგეთში, მხოლოდ 1980 წელს აირჩიეს და სეგოლენ როიალს მხოლოდ და მხოლოს იმიტომ ამჯობინეს ქვეყნის პრეზიდენტად ნიკოლა სარკოზი, რომ როიალი ქალია, ხოლო საფრანგეთი „მასკულინ“ ანუ კაცების პრიორიტეტზე აწყობილი ქვეყანა....**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

# ნატოს საწვრთნელი ბაზა – „უსაფრთხოების ქოლგა“ საქართველოსთვის თუ „წითელი ნაჭერი“ რუსეთისთვის?

**წინასწარ მინდა, აღვნიშნო, რომ იმ რამდენიმე ექსპერტს შორის, ვისაც ყურადღებით ვუსმენდი და ვის კრიტიკულ ანალიზსაც (ძველი თუ ამჟამინდელი ხელისუფლების მოღვაწეობის) ძირითადში ვეთანხმებოდი და, აქედან გამომდინარე, პატივისცემითაც ვიყავი გამსჭვალული, ქ-ნი ხათუნა ლაგაზიძეც იყო. ბოლო ხანია კი, გვარიანად გაოცებული ვარ, რადგანაც ძნელია დაიჯერო, რომ ექსპერტი, რომელიც ასე კარგად ერკვეოდა საშინაო თუ საგარეო პრობლემებში, დღეს უმარტივეს კითხვებზე ვერ პასუხობდეს და ისეთ მოსალოდნელ საფრთხეებსაც ვერ ხედავდეს, რომლებიც მსოფლიო პოლიტიკაში ოდნავ ჩახედული ადამიანისთვის ცხადზე უცხადესია.**

**აქამდე თავს ვიკავებდი ქ-ნი ხათუნას კრიტიკისგან, მაგრამ ახლა, როცა იგი ყველა საინფორმაციო საშუალებებით, „ობიექტივის“ ჩათვლით, არა მარტო თავისი მცდარი მოსაზრებების გავრცელებას ცდილობს, არამედ განსხვავებული პოზიციის მქონე ხალხს შეურაცხყოფასაც აყენებს, თავს მოვალედ ვთვლი ვუპასუხო მას, არგუმენტებით, ცხადია, და ქვემოთ მხოლოდ გვარით მოვიხსენიებ.**

სანამ ნატოს საწვრთნელ ბაზასთან დაკავშირებით ლაგაზიძის პოზიციას შევეხებოდე, ჯერ თავად ხელისუფლების პოზიციის შესახებ მოგახსენებთ, რომელიც ორ კვირაში ორჯერ შეიცვალა. ჯერ იყო და, თავდაცვის მინისტრმა განაცხადა ამგვარი ბაზის შექმნის თაობაზე, სადაც სირიელ მეამბოხეებს გაწვრთნიდნენ (იმათ, ვისაც სირიის პრეზიდენტ ბაშარ ასადის დამხობა აქვთ დავალებული ამერიკის ხელისუფლებისგან), შემდეგ იგივე გაიმეორა ამერიკაში საქართველოს ელჩმაც. ჩვენს ხელისუფლებაში, ეტყობა, მალევე მიხვდნენ (რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა!), თუ რა არასასურველი რეაქცია მოჰყვებოდა რუსეთის მხრიდან ამ დაუფიქრებელ განცხადებას და, მეორე დღესვე ყველამ, პრემიერ-მინისტრის მეთაურობით, უარყო ეს ცნობა, მათ შორის – ზემოხსენებულმა ელჩმაც. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა მოიწონა პრემიერის პოზიცია, თუმცა, იქვე დაამატა: ჩვენ ყურადღებით დავაკვირდებით ამ თემასო.

როგორც ჩანს, რუსეთს უკვე ჰქონდა უტყუარი ინფორმაცია საწვრთნელ ბაზებთან დაკავშირებით, რადგანაც, მართლაც, რამდენიმე დღეში ნატოს ახალმა გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა დაადასტურა ეს ფაქტი – საქართველოში ამგვარი ბაზის მოწყობის გადაწყვეტილება. სტოლტენბერგს მგონი, სიტყვაც არ ჰქონდა დასრულებული, და ჩვენმა ხელისუფლებამ ისე შეიცვალა ისევ პოზიცია, თითქოს, რამდენიმე დღის წინათ ლამის დედას არ იფიცებდნენ, რომ არაფერი მსგავსი საქართველოში არ შეიქმნებოდა. ამგვარი გარდასახვა ამერიკის ზეწოლის გარეშე რომ არ მოხდებოდა, ამას დიდი მიხვედრა არ სჭირდება. თავდაცვის მინისტრი და, პრინციპში, ყველა, ვისაც კი ამ ბაზის ირგვლივ ეკითხებოდნენ, ჩვენს დაწყნარებას იმით ცდილობდნენ, რომ სირიელ მეამბოხეებს აღარ ახსენებდნენ (მაგრამ მათი გაწვრთნის შესაძლებლობა არ უარუყვია არავის), მხოლოდ ნატოს წევრი და არაწევრი ქვეყნების სამხედროების წვრთნას უსვამდნენ ხაზს. რაც მთავარია, ცდილობდნენ, ეს მოვლენა საქართველოს „უსაფრთხოების ქოლგად“ წარმოეჩინათ და იმით გვამშვიდებდნენ ეს ბრძენი სტრატეგოსები, რომ ნატოს ბაზა სულაც არ წარმოადგენს რუსეთისთვის საფრთხეს და, მაშასადამე, არც რუსეთისგან გველოდება ჩვენ რაიმე საფრთხეო (არცერთ მინისტრს, არცერთ დეპუტატს უხერხულობა არ უგრძნია იმის გამო, რომ ამდენჯერ შეცვალეს ნათქვამი)!

რუსეთმა კი, იგივე ლავროვის პირით საკმაოდ გასაგებად გაგვაფრთხილა – ნატოს საწვრთნელი ბაზის განთავსება საქართველოში საფრთხეს შეუქმნის სტაბილურობას ამიერკავკასიაშიო. **თუ რას ნიშნავს ამიერკავკასიაში არასტაბილურობა რუსეთისთვის, და რა ზომებს მიიღებს იგი ამის თავიდან ასაცილებლად, ეს დიდ სამხედრო საიდუმლოებას არ უნდა წარმოადგენდეს,** მაგრამ ხელისუფლება და ლაგაზიძე, ეტყობა, ვერ ჩაწვდნენ ლავროვის სიტყვების არსს (ან არ უნდათ, რომ ჩაწვდნენ), როცა რაღაც მითიურ, მწარე ღიმილის მომგვრელ უსაფრთხოების ქოლგაზე გვესაუბრებიან. როგორც ჩანს, მათ პუტინის ადრინდელი გაფრთხილებაც დაავიწყდათ: რუსეთის ლობესთან ნატოს ბაზებს არ გავაჭაჭანებო.

სამაგიეროდ, ლავროვის ენა სწორად გაიგეს ნატოში და მისი ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ოპერატიულად შეეცადა კორექტივი შეეტანა გენერალური მდივნის ნათქვამში: არა, ეს ნატოს ბაზა კი არა, ეს ქართული ბაზა იქნებაო. ეს განმარტება, სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის, მსოფლიო მედიის ყბაში ჩავარდნილი ჯენიფერ ფსაკისნაირი განმარტება თუ არ არის და, მართლაც ქართული ბაზა იქმნება, მაშინ უცხო სახელმწიფოების სამხედროებს ქართულ მიწაზე რა ესაქმებათ?! რუსეთი ამაზე თვალს დახუჭავს?! სულ ამ ჭკუაზეა სწორედ!

ლაგაზიძე კითხულობს: **„გაბედავს თუ არა რუსეთი საქართველოში სამხედრო ოპერაციის ჩატარებას, როცა საწვრთნელ ბაზაზე ნატოს სამხედროები იქნებიან განლაგებულნი, და ამ ოპერაციას ნატოს ქვეყნების სამხედროების სიცოცხლე შეიძლება შეეწიროს“?** და თავადვე ასე პასუხობს: **„ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ მაქვს და, დამერწმუნეთ, დედამიწის ზურგზეც ცალსახა პასუხი არავის არა აქვს“.** ვითომ?



## „ობიექტივის“ ერთი გადაცემის მიხედვით

დავუშვათ და, ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა და უცხოელმა სამხედროებმაც დაიწყეს წვრთნა ჩვენს მიწაზე. ნუთუ არ იცის ექსპერტმა, რომ ამ სამხედროებს არც ქართული მიწის დაცვა ექნებათ ნაბრძანები ნატოსგან (მეტი საქმე არა აქვთ!) და, მით უფრო, არც რუსის ჯართან დაპირისპირების. ამიტომ, ამ უცხოელების ყოფნით რუსეთის შეშინება, რბილად რომ ვთქვათ, ძალიან შორს არის საღი აზროვნებისგან. თანაც, დარწმუნებული ვარ, თუკი რუსეთი კიდევ უფრო ღრმად შემოჭრას გადაწყვეტს, რუსის ჯარი, ზედმეტი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, საერთოდ არ გაეკარება იმ საწვრთნელ ბაზას, სადაც უცხოელები იქნებიან, ისევე, როგორც არ გაეკარება იგი ამერიკის საელჩოს თბილისში. **კიდევ უფრო მეტად კი იმაში ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთი არ დაელოდება უცხოეთის სამხედროების შემოყვანას საქართველოში, იგი მანამდე მოგვაქცევს „სათანადო ყურადღებას“!** ამერიკამაც მშვენივრად იცის, რომ ამ „ყურადღებას“ აუცილებლად მოჰყვება სამხედრო დაპირისპირება, ანუ საქართველო-რუსეთის კიდევ ერთი ომი, გაცილებით უფრო მეტად სისხლიანი, ვიდრე 2008 წელს, რომელიც ორ ერთმორწმუნე ერს სამუდამოდ გადაამტერებს ერთმანეთს. სწორედ გადამტერება, რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში დაძაბული კერების შექმნა (ნატოს საწვრთნელი ბაზის სახით, თუნდაც), ამ გზით რუსეთის პროვოცირება და დემონიზება მსოფლიოს თვალში არის ამერიკის მთავარი მიზანი (ამის უთვალსაჩინოესი მაგალითი უკრაინაა), და არა – საქართველოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა, მასზე ქოლგასავით გადაფარება და მისი დაცვა რუსეთის მოსალოდნელი აგრესიისგან.

ამ მოსალოდნელი აგრესიის თაობაზე ლაგაზიძეს თავისებური „ცალსახა“ ექსპერტული პასუხი აქვს: **„დღევანდელი დასავლეთისა რუსეთს არ ეშინია. აი, დღეს რომ დასავლეთის სათავეში სხვა პოლიტიკოსები იყვნენ – ტეტჩერი, რეიგანი და ა. შ., თუნდაც იყოს პუტინი რუსეთის სათავეში, ის, ასეთი კონფიგურაციის დროს ვერ გაბედავდა იმ ქვეყანაში შეჭრას, რომელიც არ იქნებოდა ნატოს წევრი-ქვეყანა, მაგრამ, სადაც იქნებოდა ნატოს საწვრთნელი ბაზა, დახუნძლული ნატოს სამხედრო მოსამსახურეებით“.**

ალბათ, ძალიან ცუდად უნდა იცოდე რუსეთის ისტორია და პუტინის მოღვაწეობასაც არ იცნობდე საერთოდ, რომ სერიოზულად ფიქრობდე (თუ ნატრობდე): 2016 წელს რეიგანისნაირი პრეზიდენტი თუ მოვიდა ამერიკაში, პუტინი შეშინდება, ვერ გაბედავს ახალ აგრესიას და ჩვენც გვეშველებაო! ასეთი, უკაცრავად და, პრიმიტიული მსჯელობა ხომ ლაგაზიძის სტუდენტებსაც არ ეკადრებათ, არათუ ექსპერტ-ლექტორს. ნუთუ, მან ის მაინც არ იცის, რომ არც რეიგანის დროს, არც მანამდე და არც მას შემდეგ, ამერიკის პოლიტიკას არა პრეზიდენტები, არამედ სხვა ძალები განსაზღვრავენ?! დავიჯერო ლაგაზიძეს ჯონ პერკინსის არც ერთი წიგნი არა აქვს წაკითხული?! თუ წაკითხული აქვს და არ ეთანხმება ამ ცნობილი პროფესორის, ყოფილი „ეკონომიკური მკვლელის“ აღსარებას?!

წამყვანის, ქ-ნ ნინო რატიშვილის შეკითხვაზე: მოდი და გაბედა რუსეთმა, და არც ამერიკამ დაიხია უკან, მერე სად მივდივართ, საქართველო თუ საომარ ველად იქცა, ჩვენ ყველას ხომ გვეტირა დედაო (ამ სიტყვებით არ უთქვამს, მაგრამ შინაარსი ზუსტად ეს იყო). ამ კითხვაზე ლაგაზიძეს არც ცალსახა და არც არანაირი პასუხი არ გააჩნდა. არადა, ამაზე ადვილი პასუხი არ არსებობს – გამორიცხულია ამერიკამ ჩვენ დაგვიცვას და რუსეთს დაუპირისპირდეს, იგი რუსეთს საქართველოს, უკრაინის და სხვათა ხელით უპირისპირდება მხოლოდ! კარგად თქვა სატირიკოსმა მწერალმა მიხაილ ზადორნოვმა: **„ამერიკა მზად არის ეომოს რუსეთს უკანასკნელ უკრაინელამდე“!**

ძალზედ გამაოცა ლაგაზიძის მიერ დასმულმა სხვა საკითხმაც: რა უფრო მნიშვნელოვანია, **რა უნდა ავირჩიოთ – რუსეთისგან წამოსული „შედარებითი სოციალური კეთილდღეობა“ თუ „სახელმწიფოს დამოუკიდებლობა“,** რომელიც, დღესდღეობით, თურმე, გვაქვს და, რომლის დაკარგვის წინაშეც შეიძლება ისევ რუსეთმა დაგვაყენოს. ძალიან მაინტერესებს, სად ნახა ლაგაზიძემ ან სხვამ, თუნდაც, ფეხზე ეკონომიკურად მყარად მდგარი პატარა სახელმწიფო და, მით უფრო, ჩვენისთანა გალატაკებული ქვეყანა დამოუკიდებელი? იქნებ ჩამოთვალონ ეს ქვეყნები, რომლებიც არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად არ არიან დაკაბალებულნი სწორედ ამ ნანატრი დასავლეთისგან.

როდესაც კითხვას სვამს: რა უმჯობესია, რა ავირჩიოთ – სოციალური კეთილდღეობა (რუსეთის ბაზრის წყალობით) თუ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა (ამერიკა–ნატოს გზით), ლაგაზიძე უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებს, ანუ ამერიკას ირჩევს და, ერთი შეხედვით, იგი მართალიც არის, მით უფრო ამ ასარჩევ გზებს მაძღარი კაცის თვალით თუ შევხედავთ და არა გამათხოვრებული, მშიერი ხალხის თვალით. რუსეთთან ურთიერთობა უდავოდ რომ გააუმჯობესებს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, ამას თავად აღიარებს, მაგრამ აი, თავისუფლებაზე კი ხმას არ იღებს, ანუ თვლის, რომ, მას შემდეგ, რაც იმპერიალისტ რუსეთთან ურთიერთობა გავწყვიტეთ და დემოკრატ ამერიკას ჩავეხუტეთ (და ამერიკამაც „მეგობრულად“ შემოგვხვია თავისი ძლიერი მკლავები!), დამოუკიდებლობა ავტომატურად გვაქვს შენარჩუნებული, და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის“.

განა შეიძლება ვინმეს (პიროვნების ან სახელმწიფოს) თავისუფლებაზე ლაპარაკი, თუ მას სამათხოვროდ აქვს ხელი გაშვერილი, თუ სახელისუფლებო კადრებს სხვა უნიშნავს (იმ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, რომლებსაც ეს სხვა აფინანსებს!), და საშინაო და საგარეო პოლიტიკასაც განუსაზღვრავს?! ვის ვატყუებთ, რომ თავისუფლები ვართ? ვატყუებთ ხალხს, რომ რუსეთს ჩამოშორებულნი და ამერიკას მიბმულნი („დემოკრატიის“ ბაწრით!), თავისუფლები გავხდით, რომ ამერიკაა ჩვენი მხსნელი, ჩვენი მამა-მარჩენალი და რუსეთი კი – გველეშაპი, რომელიც ჩვენს ჩაყლაპვას ლამობს. მამა აბრამის ბატკანი არც ერთი მათგანი რომ არ არის, ეს კარგად ვიცით, მაგრამ ხელისუფლება (ძველიც და ამჟამინდელიც) არასოდეს არ სვამს მთავარ კითხვას, თუ რა სჯობია ქვეყნისთვის და, რაც მთავარია, იგი არჩევანის უფლებას არასოდეს არ აძლევს ხალხს, ანუ არ ატარებს რეფერენდუმებს.

**იაკობ ლეჟავა,**
15 ოქტომბერი, 2014.

(დასასრული იქნება)

◉ ალიანჩალიანი

## დაღესტნის გზის მონაკვეთის მშენებლობა დღის წესრიგში არ დგას



**განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ვიცე პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა.**

**როგორც გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა, სურს გააკეთოს ძალიან კონკრეტული განმარტება, რადგან ამ საკითხმა აბსოლუტურად არაადეკვატური რეაქციები გამოიწვია.**

**„აქ არის ორი ძირითადი ასპექტი. ეს არის უსაფრთხოება და ეკონომიკური ასპექტი. წამყვანი, რა თქმა უნდა, არის უსაფრთხოება. უსაფრთხოების კუთხით კი, პროფესიონალებმა უნდა გააანალიზონ, რამდენად იქნება ეს საქართველოსთვის საფრთხის მომტანი, ხოლო ეკონომიკურ ასპექტს რაც შეეხება, გზა არის ეკონომიკისთვის დამხმარე ინფრასტრუქტურა, ის ეკონომიკას მხარს უჭერს და აძლიერებს. მაგრამ, როდესაც დღეს ვიმყოფებით ასეთ სიტუაციაში, რა თქმა უნდა, ათჯერ უნდა დაფიქრდეს ქვეყანა, მისცემს თუ არა უფლებას ამ გზის გაყვანაზე“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.**



**„მიხეილ სააკაშვილის დანაშაული იმდენად დიდია, რომ თუ იგი სწორად იქნება გამოძიებული და სამართლებლივი ძალით დავამტკიცებთ, მსოფლიო მხარს დაგვიჭერს, დაიჭერენ და თავისი ხელით ჩამოგვიყვანენ. მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა და აქ პრობლემა არაა. პრობლემა ის არის, რა უნარი აქვს საქართველოს პროკურატურას და ხელისუფლებას გამოავლინოს ეს დანაშაული. თუ უნარი არ გვაქვს, მაშინ იმდენი უნდა ვქნათ, რამდენიც შეგვიძლია“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი, რომლის განცხადებით, საერთაშორისო დონეზე სააკაშვილთან ბრძოლას ვერ იგებენ იმ თვალსაზრისით, რომ საერთაშორისო ძებნა გამოცხადდეს და გადაადგილება შეეზღუდოს.**

**for.ge ლევან ბერძენიშვილს** ესაუბრა.

**— სააკაშვილმა ხელისუფლება ვლადიმერ პუტინთან მეკავშირეობაში დაადანაშაულა და სწორედ ამით ახსნა, რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთთან გასაფორმებელი „მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების“ პროექტი...**

— სააკაშვილი ჩვეულებრივი ადამიანია: მას შეუძლია ნებისმიერი რამ თქვას, ეს არაა პრობლემა. პრობლემა ის არის, რომ საქართველოში მოიძებნებიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ, ასეთი რამ დაიჯერონ. ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ ვერ მოიფიქრეს ვერც ერთი სერიოზული არგუმენტი. გასაგებია, რომ ხელისუფლება უნაკლო არაა, მისი კრიტიკა შეიძლება, მაგრამ ეს კრიტიკა ნაციონალურ მოძრაობას არაფერს არ აძლევს.

შეიძლება „ქართული ოცნება“ არ მოსწონდეთ და აკრიტიკებდნენ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა ვერ დაიკავებს მის ადგილს. მიხეილ სააკაშვილის თავში რა ხდება, ვერ გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ ძალიან უნდა, დაიბრუნოს ის ძალაუფლება, რომელიც ჰქონდა. სააკაშვილი ნიჭიერი პოლიტიკოსია, მაგრამ ანალიზის და მოწინააღმდეგის შეფასების უნარი არა აქვს. სააკაშვილმა იცის, რითი დაამარცხა ივანიშვილმა და ივანიშვილის სიძულვილმა აზროვნება და ლოგიკა დააკარგვინა.

მე ყურადღებას არ მივაქცევდი სააკაშვილის განცხადებას. ასეთ სისულელეებზე პასუხის გაცემა შეუძლებელია. იგი ამტკიცებს, რომ ივანიშვილი არის რუსეთის აგენტი და ამიტომ რუსეთი ცუდად იქცევა აფხაზეთში. უკაცრავად, მაგრამ მისი პრეზიდენტობის დროს რუსეთი რომ ცუდად მოიქცა და ტერიტორიების 20 პროცენტი რუსებს რომ ჩააბარა, ამის მერე მისთვის რომ დაგვებრალებინა რუსეთის აგენტობა, მისივე ლოგიკით ხომ იქნებოდა სწორი?!

ნაციონალური მოძრაობისთვის სწორი იქნება სააკაშვილზე უარის თქმა და სწორი პოლიტიკის გაგრძელება, მაგრამ როგორც ჩანს, ეს მათ არ შეუძლიათ...

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ შეძლეს სააკაშვილისგან გამიჯვნა? დღესაც უმცირესობა სააკაშვილს მოიხსენიებს როგორც პრეზიდენტს...**

— დედას რომ შვილი მოუკვდება და ცოცხალი ჰგონია, დაახლოებით ისეთი ამბავია, ჯანსაღი არაა ეს ამბავი, სამედიცინო თვალსაზრისით საინტერესო მოვლენაა. სააკაშვილს პრეზიდენტად მოიხსენიებენ ამერიკულ ყაიდაზე, მაგრამ ამერიკულ ყაიდაზე როდესაც ამბობენ პრეზიდენტი სააკაშვილი, იგულისხმება, რომ დღეს სხვა პრეზიდენტია. ამათთვის კი სააკაშვილი დღესაც პრეზიდენტია, ამაშია განსხვავება, ეს არაა ენობრივი პრობლემა, ეს ფსიქოლოგიური პრობლემაა.

ერთხელ უკვე სცადეს მიხეილ სააკაშვილისგან განთავისუფლება, ჰქონდათ ამის მცდელობა, ახალი ლიდერის გამოვლენის მცდელობაც იყო, მაგრამ მიხეილ სააკაშვილს ვერ მოერივნენ, რაც არაა გასაკვირი. სააკაშვილი თავის თანაგუნდელებს ბევრად აღემატება. სააკაშვილი არის პირველი, შემდეგი კაცი არის მე-18.

**— ვინ არის მე-18 — ბოკერია თუ ბაქრაძე?**

— უმცირესობის ლიდერი დავით ბაქრაძე, რომელიც რამდენი ხანია პარლამენტში არ მინახავს და როგორი ლიდერია, ვერ გეტყვით. დავუშვათ და იყოს გიგა ბოკერია, მაგრამ სააკაშვილსა და შემდეგ ლიდერს შორის არის ძალიან დიდი სხვაობა. ეს ძალიან ჰგავს გალაკტიონისა და სხვა ქართველი პოეტების ამბავს მე-20 საუკუნეში.

**— რას უპირისპირებს ხელისუფლება სააკაშვილის პროპაგანდას, როდესაც ის აშშ-ს არწმუნებს, რომ მას საქართველოში კანონის უზენაესობის შესაბამისად არ დევნიან, არამედ დევნიან რუსეთის პრეზიდენტის დავალებით. როგორ ფიქრობთ, „გაყიდვადია“ სააკაშვილის პროპაგანდა?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ ეს არაა გაყიდვადი. ძალიან კარგად იციან, მიხეილ სააკაშვილი რაც არის, მაგრამ თუ ვინმეს უნდა სააკაშვილის კარტის გათამაშება, ის მას გაათამაშებს. მას ჰყავს მომხრეები, ვიღაცას მოსწონს სააკაშვილი, სამწუხაროდ, ასეთი ხალხი მსოფლიოში ბლომად არის.

**— არ ფიქრობთ, რომ თქვენი განცხადება შეიძლება საზოგადოებამ შეაფასოს როგორც სააკაშვილის გულშემატკივრობა?**

— როცა ამას ვამბობ, ვიღაცას ჰგონია, რომ სააკაშვილს ვგულშემატკივრობ, მაგრამ ეს არ არის მართალი. აშშ-ში არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ ეს კაცი აშშ-ში განათლებამიღებულია, ინგლისურად ლაპარაკობს ჩვენსავით, აზროვნებს ჩვენსავით, იქცევა ჩვენსავით და გვირჩევნია რუს ოლიგარქ ივანიშვილს. ოღონდ ივანიშვილი, რომ რუსი ოლიგარქია, ეს დასამტკიცებელი არა არისო. ახლა მე გეკითხებით, ვისაც გინახავთ ივანიშვილი, მოგისმენიათ მისი ლაპარაკი, შეიძლება ვინმემ დაარქვას მას რუსი ოლიგარქი?

# „დედას რომ შვილი მოუკვდება და ცოცხალი ჰგონია, დაახლოებით ისეა ნაციონალების საქმე“



სერიოზულად შეიძლება ვინმემ ივანიშვილის ქართველობაში ეჭვი შეიტანოს? კახა ბენდუქიძემაც იშოვა ფული რუსეთში, ის ქართველი პატრიოტია და ბიძინა ივანიშვილი კი, თურმე, რუსი ოლიგარქი? ეს არის ტყუილი, ბიძინა ივანიშვილი არაა რუსი ოლიგარქი, განსხვავებით ბადი პატარკაციშვილისგან. ივანიშვილის ქონება მსოფლიომ აღიარა, არსად გაზპრომის აქციები არ ფიგურირებს.

მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში მოსვლის დღიდან გვეუბნებოდა, რომ მას არ ეშინია პოლიტიკური მოწინააღმდეგის, ანაფორიანი კაცების, მას ეშინია მილიარდერების. საუკუნეების შემდეგ ქართველი ისტორიკოსები ოქროს ასოებით ჩაწერენ, რომ მხოლოდ ბიძინა ივანიშვილმა შეძლო ისეთი საშიში მოვლენის დამარცხება, როგორიც იყო სააკაშვილი, რომელიც პროდასავლური იერის გამო დასავლეთის მხარდაჭერითაც კი სარგებლობდა, მაგრამ კინაღამ დააცემენტა საქართველოში ტოტალიტარული მართველობის სტილი. წარმოგიდგენიათ გივი თარგამაძე სათავეში კიდევ რომ ყოფილიყო? არ არის და ისე გვიშლის ნერვებს და რომ ყოფილიყო, წარმოგიდგენიათ რას იზამდა?!

**— სხვათა შორის, გივი თარგამაძე ბრალს სდებს ხელისუფლებას ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ კავშირში...**

— გივი თარგამაძე კარგად არის ჩახედული კრიმინალების საკითხში, იმიტომ, რომ პოლიციის პაიკია, რომელიც შემდეგ გახდა ვეზირი. ახლაც იქიდან აქვს ინფორმაცია, თავისი ხალხი ჰყავს პოლიციაში. გივი თარგამაძეს დღემდე აქვს ჩემი 100 დოლარი. შეიძლება ბევრი სხვა ვალი დამავიწყდეს, მაგრამ გივის ვალი არ მავიწყდება. არ ახსოვს, ალბათ. ეს ხალხი არ გამოსწორდება.

**— რევანშისთვის ემზადებიან? ზურაბ ადეიშვილი ამბობს, რომ საქართველოს ხელისუფლება აუცილებლად წაიმტვრევს ცხვირს და ამაში დასავლეთი დიდი როლს შეასრულებს...**

— რა თქმა უნდა, ისინი ემზადებიან რევანშისთვის, ჩვენ უნდა მოვემზადოთ გამარჯვებისთვის. მიხეილ სააკაშვილი რომ ტყუილებს ამბობს, ეს კი არაა დანაშაული, დანაშაულია ის, რომ ფული მიიტაცა. სააკაშვილმა ერთხელ შეძლო და მოატყუა ქართველი ხალხი, მეორეჯერ ამას ვერ გააკეთებს, ეს შეუძლებელია. თანაპარტიელებიდან ვერავინ ვერ მოიძებნა, ვინც გაუბედავს და ეტყვის, რომ დაანებოს ამ საქმეს თავი და აცალოს სხვას. სხვა ლიდერები გამოვლინდნენ.

**— სააკაშვილი არის ბრალდებული, თუმცა, მის მიმართ საერთაშორისო ძებნა დღემდე არ არის გამოცხადებული. როგორც უმრავლესობის წევრი, არ დაინტერესებულხართ, რატომ არ გადასცეს ექს-პრეზიდენტი საერთაშორისო ძებნაზე?**

— პირდაპირ გეტყვით, რომ ძალიან ძნელია მიხეილ სააკაშვილის საერთაშორისო დევნა. შეიძლება ეს განხორციელდეს, შეიძლება ვერ განხორციელდეს, ასე მარტივად არაა საქმე. კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ მიხეილ სააკაშვილს აქვს თავისი წყაროები, ქვეყანას კი აქვს თავისი ამოცანები. როგორც კი მიუახლოვდები სააკაშვილს, შეგახსენებენ, რომ შენ მომავალი გაქვს, გაიხედე წინ, უკან ნუ იხედებიო. კანონის წინაშე ყველა თანასწორია, სააკაშვილმაც ისე უნდა აგოს პასუხი, როგორც სხვებმა, მაგრამ ამისთვის საჭიროა ბრალდების გაცილებით უკეთესად მომზადება. ბებიის ქონების დაყადაღება ვერ იწვევს აღრფთოვანებას დანარჩენ მსოფლიოში.

**— რა უშლის ხელს პროკურატურას, რომ ბრალდება ყოფილი პრეზიდენტის წინააღმდეგ მომზადდეს კვალიფიციურად, რატომ არ ხდება რეალური გამოძიება?**

— იმიტომ არ მოხდა, რომ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერი სწორი არაა. ზოგიერთი რამ შეცდომაა, თუ ვინმეს არ უნდა ეს აღიაროს, მისი საქმეა და გამართლება შეიძლება მოუძებნოს ყველაფერს. შეიძლება გამართლებული იყოს ის, რომ ქალბატონ მზია წერეთლის და სანდრა რულოვსის ქონება დაყადაღდა? შეიძლება ამას აქვს იურიდიული გამართლება, მაგრამ საერთაშორისო თვალსაზრისით, ამან არ გამოიწვია აღფრთოვანება. პირიქით, გამოიწვია ის, რაც მოხდა ევროპის საბჭოზე, ძალიან გაგვაკრიტიკეს ძალიან ახლობლებმაც.

მიხეილ სააკაშვილის დანაშაული იმდენად დიდია, რომ თუ იგი სწორად იქნება გამოძიებული და სამართლებლივი ძალით დავამტკიცებთ, მსოფლიო მხარს დაგვიჭერს, დაიჭერენ და თავისი ხელით ჩამოგვიყვანენ. მიხეილ სააკაშვილი დამნაშავეა და აქ არაა პრობლემა. პრობლემა ის არის, რა უნარი აქვს საქართველოს პროკურატურას და ხელისუფლებას გამოავლინოს ეს დანაშაული. თუ უნარი არ გვაქვს, მაშინ იმდენი უნდა ვქნათ, რამდენიც შეგვიძლია.

საერთაშორისო ძებნის გამოცხადების საშუალება ჯერ არ გვაქვს, თორემ ამ შემთხვევაშიც უარს მივიღებდით. ეს მასალები არაა საკმარისი იმისთვის, რაც გვინდა. მეტი სამუშაოა საჭირო. პარლამენტში ბევრი ნაკლი გვაქვს და სამართლიანადაც გვაკრიტიკებენ, ახლა თქვენ ფიქრობთ, რომ პროკურატურას არ ექნება ნაკლი?

**საიდან მოგვეყვანა ახალი პროკურატურა, ეს მიხეილ სააკაშვილის პროკურატურა არ არის? საერთაშორისო დონეზე სააკაშვილთან ბრძოლას ვერ ვიგებთ იმ თვალსაზრისით, რომ გამოაცხადო ძებნა და შეეზღუდოს გადაადგილება. ჯერჯერობით, ვილიამსბურგში ცხოვრობს, ველოსიპედით დადის, ძვირიან კაფეებსა და რესტორნებს სტუმრობს. შეკითხვაზე, ფინანსურად როგორ არის, ამბობს, რომ ყველაზე ღარიბი კაცი არ არის. სახლიც კი იყიდა ვილიამსბურგში.**

**თამთა ქარჩავა**

◉ ალიანჩალიანი

## ქართველი კრიმინალები ესპანეთში დააკავეს




**ესპანეთის პოლიციამ ქართველების დანაშაულებრივი დაჯგუფება დააკავა. ინფორმაციას ამის შესახებ მადრიდული ონლაინ გამოცემა El Iceberg ავრცელებს.**

**გამოცემის ინფორმაციით, ოპერაცია „ქართულის“ ფარგლებში, რომელშიც ნაციონალური პოლიცია და სამოქალაქო გვარდია მონაწილეობდნენ, 28 ადამიანი დააკავეს.**

**ადგილობრივი პოლიციის ცნობით, დანაშაულებრივ დაჯგუფებას 50 ძარცვა აქვს ჩადენილი. დაჯგუფებას მადრიდში, კატალონიასა და კასტილია-ლა-მანჩში აქვს ჩადენილი დანაშაულები.**

**არსებული ინფორმაციით, დაკავებულები 22-დან 50 წლამდე არიან, ყველა მათგანი მადრიდში ცხოვრობდა.**

# გაისად პენსია 5-10 ლარით გაიზრდებაო!..



**ახლახან „ოცნებიდან“ დაფდაფების ცემით გვაუწყეს — მომავალი წლიდან პენსია 5-10 ლარით გაიზრდებაო. ამ სენსაციურმა ცნობამ ხალხში ერთგვარი უკმაყოფილება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ხუთი ლარი, გნებავთ ათიც, ჩვენს გაუსაძლის ყოფას რა მალამოდ მოეცხება, ნამდვილად მასხრად გვიგდებენ ეგ მამაცხონებულებიო — ტუჩი აიბზუა პენსიონერთა დიდმა ნაწილმა. ეტყობა, ამათგან მეტი მაინც არაფერი გამოდნება, დანებდა ბედისწერას მეორე ნაწილი, რასაც გვაძლევენ, გამოვართვათ, ყვავს კაკალს თუ გავაგდებინებთ, ეგეც მიღწევად ჩაგვეთვლებაო.**

ვერ გეტყვით, პენსიონერებს რამდენად ჩაეთვლებათ მიღწევად „მეოცნებე“ მთავრობისგან მორიგი 5-10-ლარიანი „საჩუქარი“, მაგრამ თავად მთავრობის რეიტინგს რომ არ წაადგება, ამასაც ვერსად გავექცევით. ხელისუფლებამ როგორღაც კი წაიტრაბახა, პენსიას ვზრდითო, მაგრამ იმის თქმა დაავიწყდა, ამ თანხით, რის ყიდვას შეძლებს პენსიონერი. არადა, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე „მეოცნებენი“ მოსახლეობას ბევრ რამეს ჰპირდებოდნენ, მათ შორის, პენსიების რეალური საარსებო მინიმუმის ფარგლებში გაზრდას. მართალია, ბიძინა ივანიშვილი კონკრეტული ციფრის დასახელებას ერიდებოდა, მაგრამ სხვა ლიდერები ხმამაღლა აცხადებდნენ: მთავრობაში რომ მოვალთ, პენსიას საარსებო მინიმუმს გავუთანაბრებთ, ასეთი მინიმუმი კი ჩვენი გაანგარიშებით, 230-250 ლარის ფარგლებში უნდა მოაზრებოდესო. ექსპერტთა ერთი ნაწილი ამ აზრს დღესაც იზიარებს, მეორე ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული ფასების მიხედვით, დღეს ერთი ადამიანის საარსებო მინიმუმი 315 ლარის ტოლფასია(!).

„ოცნება“ ხელისუფლებაში მოსვლამდე კი ჰპირდებოდა ხალხს, რეალურ საარსებო მინიმუმს გამოვითვლითო, მაგრამ მოსვლის შემდეგ დანაპირების შესრულება რატომღაც დაავიწყდა და დღესაც საარსებო მინიმუმის ოფიციალური მაჩვენებელი (144,7 ლარი) იმ ნორმებს ეფუძნება, რომელიც საკუთარ სიმდიდრეს დახარბებულმა ნაცბანდამ ამ ათიოდე წლის წინათ საერთაშორისო ნორმებისგან სრულიად განსხვავებულად შეიმუშავა. დღევანდელი რეალობა კი სულ სხვა სურათს იძლევა. საქმე ის გახლავთ, რომ „საქსტატი“, რომელიც დღემდე „პრეისტორიული“ მეთოლოგიით მუშაობს, საარსებო მინიმუმის კვლავაც 40 დასახელების პროდუქტთა ჯგუფის მიხედვით ითვლის, მაშინ, როდესაც სასურსათო კალათა რეალურად 70 დასახელების პროდუქტს მოიცავს. როგორც ირკვევა, „საქსტატი“ ისეთ პროდუქტებზე, როგორიც არის პურფუნთუშეული (გარდა ხორბლის პურისა), შვრია, ნადული, ერბო, მზესუმზირა, ყვავილოვანი კომბოსტო, ხილი, მურაბები, ჯემები და სხვა, თურმე, დაკვირვებას საერთოდ არ აწარმოებს. ჰოდა, თუ დაკვირვებას არ აწარმოებს, რა ვიფიქროთ, „საქსტატს“ საარსებო მინიმუმი სიზმრად ნახული პროდუქტებისგან გამოჰყავს?

როგორც ჩანს, „საქსტატთან“ ერთად ხელისუფლებაც ანგარიშს არ უწევს იმას, რომ შეიცვალა სასურსათო და არასასურსათო კალათებს შორის პროპორციები, რომელთა შეფარდება ადრე არსებული 70/30-ის ნაცვლად, რეალურად უკვე 55/45-ზეა. ამით სპეციალისტები ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ ადამიანებს, ცხოველებისგან განსხვავებით, კვების გარდა, სხვა მოთხოვნილებებიც გააჩნიათ.

**როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი არ იციან დღევანდელ ხელისუფლებაში? რა თქმა უნდა, იციან, თანაც ახლა კი არ მიხვდნენ, როგორც უკვე ვთქვი, ხელისუფლებაში მოსვლამდეც იცოდნენ, მაგრამ რეალური საარსებო მინიმუმის გამოთვლა დღემდე ვერ მოახერხეს. რატომ? ვითომ საარსებო მინიმუმის გამოთვლას იმდენი თანხები სჭირდება, რომ ხაზინაში ვერ მოიძიეს? არა, ბატონებო, საქმე სხვა რამეშია. სინამდვილეში ფინანსები დათვლას კი არა, აი იმას დასჭირდება, დათვლის შემდეგ მთავრობას შედარებით მაღალი საარსებო მინიმუმის დარად, პენსიების გაზრდა რომ მოუწევს.**

სწორედ პასუხისმგებლობის ამ ყულფში თავის გაყოფა არ სურს ქვეყნის პირველ ფინანსისტს ბატონ ნოდარ ხადურს და ამიტომ ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ კოალიციურმა მთავრობამ დაპირება პირნათლად შეასრულა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, როცა საარსებო მინიმუმი 144,7 ლარი იყო, პენსია კი 150 ლარი გახდა. რა თქმა უნდა, პიარში გამობრძმედილი ნაცები იმის ჩიტები არ არიან, ხადურის ნათქვამი ჰაიჰარად დაიჯერონ და არ შეახსენონ ის სიტყვები, რითაც „ოცნების“ ლიდერები არჩევნებამდელ პერიოდში პენსიონერების გულს იგებდნენ. ნაცები ამჯერად სიმართლეს ღაღადებენ, მეოცნებენი უკვე მესამე წელია, ხელისუფლებაში არიან, მაგრამ პენსია ჯერაც ისევ 150 ლარია და არავინ უწყის, მიაღწევს თუ არა ოდესმე 200 ლარამდე, რომ აღარაფერი ვთქვათ რეალურ საარსებო მინიმუმით გამოთვლილ 315 ლარზე, რაც ამას წინათ არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკონომიკური კვლევის ცენტრმა“ ოფიციალურად დააფიქსირა.

## ჯემალ ცუცქირიძე: ეგენი ჩვენ გვიგდებენ მასხრად თუ საკუთარ თავს?

ამის მიუხედავად, ფინანსთა მინისტრი „პრინციპიდან“ გადახვევას არ აპირებდა და აცხადებდა, რომ მომავალ წელს პენსია არ გაიზრდებოდა. ხადურის ამ განცხადებამ უარყოფითად იმოქმედა ხელისუფლების რეიტინგზე, რომელიც ბოლო ხანებში ისედაც საგრძნობლად შემცირდა. ეტყობა, ამის გამო ხადურის ზემდგომებიც შეშფოთდნენ და პენსიის გაზრდა გადაწყვიტეს. ეს სასიხარულო ცნობა ხალხს პირველმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ონოფრიშვილმა აუწყა. ხადურიც რაღას იზამდა, საკუთარ „პრინციპს“ გადააბიჯა და პენსიების გაზრდის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია დაადასტურა. თან ისიც მოაყოლა, პენსიების ზრდის ზუსტ მაჩვენებელს ახლა ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ყველაფერი დაკონკრეტდებაო.

მაგრამ ვიდრე ნოდარ ხადური პენსიების ზრდის მაჩვენებელს დააკონკრეტებდეს, მანამდე ეკონომიკის ექსპერტმა **ლევან კალანდაძემ** არ დაიზარა და ამ ზრდის საკუთარი ვარიანტი შემოგვთავაზა: **„პენსიების ზრდა, ამბობს ექსპერტი, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული საპენსიო უზრუნველყოფის მუხლში დაფიქსირებული თანხის ხარჯზე. 2014 წელთან შედარებით, 2015 წელს, საპენსიო უზრუნველყოფის მუხლი 35 000 000 ლარით იზრდება. ეს არის თანხა, რომლითაც 2015 წელს პენსია გაიზრდება, რაც ძალიან ცოტაა. ბუნებრივია, ეს მომავალი წლის იანვრიდან, ან თუნდაც მარტიდან, ვერ მოხდება, რადგან 35 000 000 ლარი მთელი წლის განმავლობაში პენსიის ზრდას არ ეყოფა. ამ ფონზე, სავარაუდოდ, პენსია 2015 წლის მეორე ნახევარში, სექტემბრიდან გაიზრდება. როგორც ჩანს, ხელისუფლებას სწორედ ასეთი გათვლა აქვს, ანუ ამ გადაწყვეტილებას ეკონომიკურის ნაცვლად პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად. პოლიტიკური მოტივი კი, სულ რაღაც 35 000 000 ლარი ღირს, რაც პენსიონერთა რაოდენობის გათვალსიწინებით, მთავრობას მაქსიმუმ ოთხი თვე ეყოფა. ეს ნიშნავს, რომ პენსია 2015 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში, დაახლოებით, 10 ლარით მოიმატებს. თეორიულად შესაძლებელია, 5 ლარით მოიმატოს და პროცესი სექტემბრის ნაცვლად მაისიდანაც დაიწყოს. თუმცა, არა მგონია, ხელისუფლებამ თავი სასაცილოდ აიგდოს“.**

სულ ტყუილად უფრთხილდება ეკონომიკის ექსპერტი წარმატებულ ეკონომიკაზე „მეოცნებე“ ხელისუფლების რეიტინგს, რომელიც პენსიის 5-10-ლარიანი ზრდით, ხალხთან ერთად საკუთარი თავის სასაცილოდ აგდების უეჭველ გარანტიასაც ქმნის. როცა ხალხში პენსიების ზრდის ილუზიას ქმნის, მთავრობამ ხომ უნდა იფიქროს, პენსიონერს რის შეძენა შეუძლია ამ მომატებული 5-10 ლარით — ნახევარი კილოგრამი ხორცის, კილოგრამი უხარისხო ყველის თუ გადამწიფებული ორი კილოგრამი პამიდვრის? კიდევ ჩამოვთვალო?!.

**დანარჩენის ჩამოთვლა ბატონ ხადურისთვის მიმინდვია, რომელსაც მსხვილ-მსხვილი ჩინოვნიკებისთვის პრემია-წანამატების მიცემა უფრო ეხერხება, ვიდრე პენსიების მატება. ამას წინათაც პარლამენტარებთან შეხვედრისას, მან სიამაყით განაცხადა, რომ ახალ ბიუჯეტში საჯარო სამსახურის მუშაკთა შრომის ანაზღაურებისათვის გამოყოფილი თანხა, წინა წელთან შედარებით, 54 მილიონი ლარით გაიზრდება(!).**

ეს რომ მოისმინეს, ნაცუმრავლესობის „ყოჩებმა“, როგორც სჩვევიათ ხოლმე, ხადური კუპრში ჩაგდებული ბოთლივით გააშავეს. მათ შორის სიანჩხლით უფრო მეტად ხათუნა გოგორიშვილი გამოირჩეოდა:

— თქვი, თქვი, შე მატყუარავ, — უტევდა ქვეყნის პირველ ფინანსისტს ნაცქალბატონი, — რისთვის ინახავ მაგ 54 მილიონს, გინდა ისევ მინისტრების პრემიებისა და სახელფასო დანამატებს მოახმარო, არა? (ღმერთო ჩემო, რას მოვესწარით, ნაცებმა მთელი 9 წლის მანძილზე ხალხის დაყაჩაღება-გატყავებით რომ იყვნენ დაკავებულნი, ახლა „ოცნების“ გულის გასახეთქად იმავე ხალხის მხარდასაჭერად აილესეს კბილები).

არაო, თავს იმართლებდა მინისტრი, თქვენც კარგად იცით, შარშან და წლეულს მინისტრებს ფაქტობრივად ხელფასები შეუმცირდათო, მაგრამ ვინ დაუჯერა. იმ შეხვედრაზე ნაცუმცირესობის დეპუტატებმა ხადურს სულ მატყუარა და აფერისტი უძახეს.

**ამ მთავრობის კომპეტენტურობასა და ნაცების უნამუსობას რა ვუთხარი, თორემ იმ დამაქცევარი საქმეების შემდეგ, რასაც ეს უკანასკნელნი სჩადიოდნენ, „ოცნებას“ ტყუილსა და აფერისტობაში როგორ უნდა ადანაშაულებდნენ. ისე, კაცმა რომ თქვას, არც ესენი (ახლები) გამოდგნენ მამა აბრამის ბატკნები, მათი ხელისუფლებაში მოსვლიდან უკვე ორი წელი გავიდა და საკუთარ კეთილდღეობაზე, ხელფასებისა და პრემიების ზრდაზე ზრუნვა ერთი დღითაც არ შეუნელებიათ. თუმცა, მაინც ვერ გაძლა ჩინოვნიკებისა და პარლამენტარების მუცლები, დეპუტატებმა ამას წინათაც დაიწუწუნეს — სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავეთაგან ყველაზე ნაკლები ხელფასები გვაქვსო.**

— ცხოვრებაგამოვლილი ჟურნალისტი ხართ, — მეუბნება პენსიონერი ჯემალ ცუცქირიძე, — და იქნებ ამიხსნათ, რატომ უნდა იღებდნენ ყოფილი პარლამენტარები 500-ლარიან პენსიას და ჩემნაირები — 150 ლარს? იმისთვის, რომ აყვავებული ქვეყანა დაგვიტოვეს თუ სასესიო სხდომებზე ყვინთვისთვის? თბილისის ახალი თავკაცი, ბატონი დავით ნარმანია ქამრების შემოჭერას რომ გვპირდებოდა, იმით შეასრულა, რომ სკამებზე წამობწკალებულ ჩინოვნიკებს მეორე დღესვე ათასობითლარიანი სახელფასო წანამატები ჩამოურიგა? ჯერ არაფერი გაუკეთებიათ და ამდენ ფულს რაში სჩუქნიან?

— როგორ თუ რაში, დღე და ღამეს ვასწორებთ, 24-საათიანი სამუშაო დღე გვაქვს და ანაზღაურებაც შესაფერისი უნდა გვქონდესო, — ტელევიზორში არ მოგისმენიათ?

— მაშინ დღეგამოშვებით იმუშაონ და ხელფასებიც გაინახევრონ, მაგათი გაკეთებული საქმე მაინც არავის უნახავს და...

— ხუმრობთ, ბატონო ჯემალ?

— რა მეხუმრება, ბატონო, გულზე ვარ გამსკდარი, ვფიქრობდი, პენსიას 200 ლარამდე მაინც გაგვიზრდიან-მეთქი, ესენი კიდევ 10 ლარსაც ვერ იმეტებენ. არ მესმის, პენსიონერებს გვიგდებენ მასხრად თუ საკუთარ თავს? თუ მომავლი არჩევნებისთვის იზღვევენ თავს, — ხალხზე ზრუნვა წუთითაც არ შეგვინელებია, პენსიებს ყოველწლიურად ვზრდიდითო?!

**ეს კითხვები მარტო ჯემალ ცუცქირიძეს არ გასჩენია, ამ საკითხზე ხალხში უამრავი კითხვა დაგროვდა. ამიტომ უპრიანი ხომ არ იქნება, კითხვებს თავად პრემირებულმა მინისტრებმა, პარლამენტარებმა და მსხვილ-მსხვილმა ჩინოვნიკებმა უპასუხონ?**

**იფიქრეთ ამაზე ხალხის მსახურო, პატივცემულო ჩინოვნიკებო და დეპუტატებო!**

**ოთარ ხუციშვილი**

◎ ალიანჩალიანი

## სოკოთი ინტოქსიკაციის შედეგად 10 წლის ბავშვი გარდაიცვალა




**შემთხვევა კვირას მოხდა. პაციენტი ქარელის რაიონიდან ძმასთან ერთად იაშვილის კლინიკაში რამდენიმე დღის განმავლობაში მკურნალობდა. კლინიკის ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში რჩება სოკოთი მოწამლული მისი ძმაც.**

**როგორც იაშვილის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში განაცხადეს, ბოლო დღეებში სოკოთი მოწამვლის ფაქტებით კლინიკაში მიმართვიანობამ იმატა. მათივე ინფორმაციით, გუშინ კლინიკიდან 5 ბავშვი გაეწერა, თუმცა, საავადმყოფოს ტოქსიკოლოგიურ განყოფილებაში ამ დრომდე სოკოთი მოწამლული 7 პაციენტი რჩება.**

**ამასთან, რამდენიმე დღის წინათ სოკოსგან მოწამვლით კიდევ ერთი ბავშვი გარდაიცვალა. ტოქსიკოლოგები მოსახლეობას აფრთხილებენ, რომ თავი შეიკავონ ტყეში დაკრეფილი სოკოს მიღებისაგან.**

◉ გამოამინდების მოლოდინში...

# დემოკრატია დემოსს, ხალხს არსად არავინ

## ანუ ფუჭმა პოლიტიკურმა ლაქლაქმა წალეკა ქვეყანა

**„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველი უკვე კარგად იცნობს საქართველოდან „დევნილ" ბელგიელ მოქალაქეს, ჩინებულ პუბლიცისტსა და პოლიტოლოგს, ბატონ ომარ ხახაშვილს, რომელიც ბოლო თითქმის ათეული წლის განმავლობაში დროდადრო ინტერნეტით ადევნებს თვალყურს ჩვენს გაზეთს და საქართველოში მიმდინარე მოვლენათა თაობაზე თავის ნააზრევსაც ინტერნეტითვე აწვდის რედაქციას. ახლახან ბატონი ომარი რამდენიმე დღით თბილისში ჩამოვიდა ბელგიიდან (საქართველოს მოქალაქეობის მისაღებად) და ჩვენი თითქმის 100-წლიანი რედაქციაც მოინახულა. ჩვენც, ბუნებრივია, ვისარგებლეთ ამ სასურველი ავტორის მოულოდნელი სტუმრობით და, ცხადია, ამჯერად ინტერნეტის გვერდის ავლით, უშუალოდ, პირისპირ, როგორც იტყვიან, კითხვა-მიგებით ვიბაასეთ იმ მთისა და ამ ბარის ცხელ-ცხელ ამბებზე.**

**ქვემოთ სწორედ ამ ჩვენი ბაასის ტექსტს გთავაზობთ.**

**გურამ გოგიაშვილი: თქვენი წინა ჩამოსვლიდან ამჟამინდელ ჩამოსვლამდე რამდენიმე წელიწადი გავიდა, რა ცვლილებები შეატყვეთ ქალაქს, ადამიანებს?**



**ომარ ხახაშვილი**: წინა ჩამოსვლიდან ორი წელიწადი გავიდა. ძველი ცოცხი შეცვლილა და ახალი ცოცხი კარგად გვის, მაგრამ დიდი ცვლილებები არც ქალაქს ეტყობა, არც ადამიანებს. ან როგორ შეეტყობა, როცა ჯერჯერობით რატომღაც ხელისუფლება მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს და ხალხისთვის ვერაფერს იმეტებენ?! გამეტებას ვინ ჩივის, როცა ადამიანებს წინა ხელისუფლებ(ებ)ის მიერ წართმეულსაც არ უბრუნებენ?! შორს რომ არ წავიდეთ, ის ფაქტი, რომ 1918 წელს დაარსებული გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას სააკაშვილის ძალმომრე რეჟიმის მიერ უკანონოდ წართმეული გამომცემლობა „სამშობლოს" შენობა დღემდე არ დაბრუნებია და იგი ნაქირავებ ბინაშია შეხიზნული, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა.

თქვენ სავსებით სწორად აღნიშნავთ ა.წ. 9 სექტემბრის პუბლიკაციაში – „როდემდე ვაყაროთ კედელს ცერცვი?!": „ჩვენი ნაოცნებარი ხელისუფლება ისევე ყურებდაცობილია ამჟამინდელი ქართული პრესის მიმართ, როგორც ყველა წინა პარტია ამ ორი ათეული წლის მანძილზე... ეს მაშინ, როცა დილიდან საღამომდე ყველას პირზე გვაკერია დასავლეთი, ნატო და ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, საერთოდ, საზღვარგარეთი... მაგრამ, მოდით, ერთი იმასაც გადავხედოთ და ისიც ვნახოთ, როგორ უჭერენ მხარს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საზღვარგარეთ... მხოლოდ ასეთ, მთავრობის მხრიდან ოპერატიული რეაგირება-ხელშეწყობის შემთხვევაში შეიძლება იმის თქმა, რომ მეოთხე ხელისუფლება ქვეყანაში თავის სიმაღლეზეა და მართლაც ქვეყნის საკეთილდღეოდ მუშაობს".

მე, როგორც დასავლეთის ცხოვრებას ახლოს გაცნობილმა, შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ ხელისუფლების მიერ გაზეთების რედაქციებისათვის შენობების წართმევა იქ გაუგონარი ამბავია. მართალია, ხსენებული შენობა ახალ ხელისუფლებას არ წაურთმევია, მაგრამ წართმეულის არდაბრუნებაც წართმევის ტოლფასია, მით უმეტეს, რომ ნადავლი დღეს მის ხელშია. რა უშლის მას ხელს, რომ, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჟურნალისტების კალმის ოფლით აშენებული" შენობა პატრონებს დაგიბრუნოთ?! დასავლეთში არც ერთ მთავრობას, რა ფერისაც არ უნდა იყოს იგი, თავში არასოდეს მოუვა, ხელყოს გაზეთის რედაქციების საკუთრება, რადგან ამის მცდელობაც კი პოლიტიკური ასპარეზიდან სამუდამოდ გააქრობს მას. ამაშია მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების, ძალაუფლება სამართლებრივ სახელმწიფოში. ეს ძალაუფლება კი იმით ხორციელდება, რომ არც ერთი ჟურნალისტური სტატია თუ კრიტიკული გამოსვლა, ურეაგირებოდ არ რჩება როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების მხრიდან. მედიის სიგნალის „კედელზე ცერცვის შეყრა" ანუ „წერე და იკითხე" კი, როგორც ეს ჩვენში ხდება, აზრს აცლის მედიის მეოთხე ხელისუფლებობასაც და მის არსებობასაც.

თუმცა, წართმეული ქონების დაბრუნებაზე ხელისუფლება მარტო თქვენი რედაქციის მიმართ არ იყრუებს ყურს. იგი უპასუხოდ ტოვებს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ორი წელია, წინა ხელისუფლების მიერ უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას ელის. იგივე შეიძლება ითქვას ციხეებიდან გამოშვებული უკანონოდ დასჯილი ადამიანების მიმართ, რომლებსაც სახელმწიფო უარს ეუბნება სათანადო კომპენსაციის მიცემაზე.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის გაურკვეველი დროით გადავადებას" და უკანონოდ დასჯილი ადამიანების ნაწილის ციხეებში დარჩენას იმით ამართლებს, რომ სახელმწიფოს ფინანსური სახსრები არა აქვს, რომ ათიათასობით უკანონო პატიმარს კომპენსაცია მისცეს.

მაგრამ ვინ ამბობს, რომ კომპენსაცია სახელმწიფომ უნდა მისცეს? კომპენსაცია უნდა მისცენ იმათ, ვინც ეს ადამიანები უკანონოდ დასაჯა, ცოცხებით აუპატიურა და აწამა.

პარლამენტარ ზაქარია ქუცნაშვილის „მიზეზ-მიზეზით", დანაშაულში მხილებული ნაცების ყველა მაღალჩინოსანი და იმათი უკანონო ბრძანებების შემსრულებელი რომ დავიჭიროთ, მათი რიცხვი 600 ათასამდე ავა და ციხეებში ადგილი არ გვეყოფა.

კი, ბატონო, ციხეებში ნუ ჩასვამთ, მაგრამ იმას რაღა უდგას წინ, რომ სააკაშვილსა და იმის მაღალჩინოსნებს, პროკურორ-მოსამართლეებსა და ციხის ზედამხედველებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება ჩამოართვათ და მათ მიერ დაზარალებული ადამიანების საკომპენსაციო ფონდში გადარიცხოთ?! ადამიანებმა, ციხეებში უკანონო ჯდომითა და წამებით, წლებისა და ჯანმრთელობის დაკარგვასთან ერთად, ეკონომიკური მდგომარეობაც გაიუარესეს და ჩიტივით „განთავისუფლებულები" ახლა ეკონომიკურადაც ისჯებიან. ამიტომ არის, რომ დღევანდელ ტენდერებშიც, როგორც სწორად აღნიშნავს ტელეწამყვანი გია კორკოტაშვილი, ისევ ძველი სახეები იმარჯვებენ, რადგან უკანონოდ მიტაცებული ფული კვლავ იმათ ხელშია და ახალმა ხელისუფლებამ ვერაფრით მოახერხა იმათგან მისი ამოღება.

დიახ, ხელისუფლების ვალია, მისი მოვალეობაა, რომ კონფისკაცია უყოს ქურდი და ხალხის გამძარცველი სააკაშვილისა და მისი კორუმპირებული მაღალჩინოსნების, პროკურორ-მოსამართლეებისა და ციხის ზედამხედველების დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას და კომპენსაცია უყოს მათგან ქონებაწართმეულ და დაზარალებულ ადამიანებს. ამას გულისხმობს სამართლიანობის აღდგენა და ამისთვის არსებობს ხელისუფლებაც. სამართლიანობის აღდგენა ხელისუფლების მთავარი ფუნქციაა, და ხელისუფლება, რომელიც უარს ამბობს თავისი ფუნქციის შესრულებაზე, შინაარსს აცლის თავის თავს და უხელისუფლებობას ემსგავსება.

ამ თვალსაზრისით, მართალია პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას „უხელისუფლებობას" რომ უწოდებს: „პირადად მე ვფიქრობ, რომ დღეს საქართველოში უხელისუფლებობაა".

თუმცა, ბიუჯეტის ძარცვის თვალსაზრისით, ამას უკვე უხელისუფლებობას ვერ დაარქმევ: ამ მხრივ, ქოცები ისევე „ხელისუფლობენ", როგორც ნაცები.

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი გაკვირვებულია დღევანდელი „ხელისუფლების" მიერ ოკეანისგაღმა უაზრო ვიზიტების დროს გაწეული ხარჯებით: „რატომ ბაძავენ მიშას ასეთ გაუმართლებელ ხარჯებში?.. რაღა არის ეს ნიუ-იორკის „Mandarin oriental"-ში გაჩერება, რომელიც ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ძვირ სასტუმროდ (ერთკაციანი ყველაზე იაფი ოთახი 985 დოლარი დღეში და ზემოთ!)... ნუთუ არ შეიძლება ჩვენი ბიუჯეტის შესაძლებლობით შემოვიფარგლოთ და არ ვცდილობდეთ ამითი რაღაცის დამტკიცებას, იმისი რაც არც ფულით და არც სასტუმროთი არ მტკიცდება!"

უბედურების სათავე ის არის, რომ ხელისუფლებაში მოხვედრილ ამ არსებებს, ნაცებსაც და ქოცებსაც, სახელმწიფო და ქვეყნის ბიუჯეტი თავიანთი საყაჩაღო არენა ჰგონიათ. ამიტომ დღესაც აქტუალურია, ბატონო გურამ, თქვენი პირუთვნელი პასუხი ვაი-პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ, თავხედურად აცხადებდა „სახელმწიფო შედგაო": „სახელმწიფო კი არ შედგა, ჩვენ შეგვდგა"-ო, და ნეტარი ავგუსტინეს სიტყვები შეახსენეთ: „სახელმწიფო, სადაც სამართალი არ არის, ყაჩაღთა ხროვაა და არა სახელმწიფო".

**გ. გ. როგორია სხვაფრივ თქვენი შეხედულება ახალ ხელისუფლებაზე? რა მთავარ განმასხვავებელ ნიშანს ხედავთ ძველი ხელისუფლებისაგან?**

**ო. ხ.** უსამართლობა იქნებოდა, გვეთქვა, რომ ახალი ხელისუფლება სულ არაფრით განსხვავდება ძველისაგან. ადამიანებს უკანონოდ აღარ იჭერენ, ცოცხებით არ აუპატიურებენ, საკნებში აღარ ცხრილავენ და პატიმრებს ორგანოებს აღარ აჭრიან (მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი, მგონი, იმასაც აცხადებდა, რომ ამისი ფაქტებიც ჰქონდა და, ალბათ, გამოძიებასაც აპირებდა, მაგრამ მალევე თანამდებობიდან გადააყენეს). რუსეთისა და მისი პრეზიდენტის მიმართ უზრდელი რიტორიკა შედარებით ზრდილობიანმა შეცვალა. დაინიშნა სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ხელისუფლებასთან რეგულარულად სასაუბროდ, რამაც გაუხსნა გზა ქართულ ღვინო-ბორჯომს რუსეთის ბაზარზე. მაგრამ ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, ეს საკმარისი არ არის. ამისათვის საჭირო იყო ძირეული ცვლილებები. სახელდობრ, ნატო-ნატოს ძახილისთვის თავის დანებება და რუსეთთან სრულყოფილი კეთილმეზობლური ურთიერთობის აღდგენა, რადგან ეს იყო და არის საქართველოს ორი მთავარი პრობლემის – ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების – გადაწყვეტის ერთადერთი გზა. ამისათვის პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ვალდებული იყო, არჩევისთანავე, ჩასულიყო მოსკოვში და პირადად შეხვედროდა პრეზიდენტ პუტინს, მასთან ერთად, მესამე მხარის ჩაუჩრელად, განეხილა რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტა ეცადა. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება ყველაფერს თავის ადგილზე დაალაგებდა. სწორედ ამას ელოდა მისგან ხალხი და ამასვე ჰპირდებოდა იგი მას, რაც მან არა თუ ვერ შეასრულა. მან, ქართველი ხალხისა და რუსეთის ხელისუფლებისათვის თვალებში ნაცრის შესაყრელად, „წითელი ხაზებით" შეზღუდული „სპეციალური წარმომადგენელი" დანიშნა, რომ მას, ღვინო-ბორჯომის გარდა, საქმეზე არ ესაუბრა. რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება, ცხადია, აშშ-ის გაღიზიანებას გამოიწვევდა, რაც მის ბანკში შენახულ მილიარდებს საფრთხეს შეუქმნიდა. ამ საფრთხისათვის ანგარიშის არგაწევა გმირობის ტოლფასი იქნებოდა, გმირობას კი „მილიარდერს" (მილიარდერები ბანკებია!) ვერ მოსთხოვ. ამიტომ დადიოდა სტალინი დაკემსილი კიტელით.

**გ. გ. საქართველომ ევროკავშირთან ასოცირებას მოაწერა ხელი. იქნებ კონკრეტულად განუმარტოთ მკითხველს, რას წარმოადგენს ევროკავშირი, რას მიიღებს საქართველო ამ კავშირისგან ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურულად, პოლიტიკურად, რა მოვალეობები დაეკისრება თვითონ საქართველოს, შეძლებს ამ მოვალეობებისთვის თავის გართმევას? ანუ რას შევიტანთ და რას გამოვიტანთ? რა თანაფარდობაშია ევროპის კონტინენტზე ერთმანეთთან სიმდიდრე და სიღარიბე?**

**ო. ხ.** ევროკავშირი საბჭოთა კავშირი არ არის, რომ საქართველომ იმისგან ეკონომიკურად რაღაც მიიღოს. დასავლელი სოვეტოლოგების ალეკ ნოუვისა და ჯ. ნიუთის აღიარებით, „საბჭოთა კავშირი ყველანაირად ხელს უწყობდა მოკავშირე რესპუბლიკების მრეწველობაში დიდ კაპიტალდაბანდებებს და, რაც ყველაზე საოცარია, ეროვნულ რესპუბლიკათა სამრეწველო განვითარების ფინანსირებისათვის სახსრებს თავად რუსეთი იღებდა, შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ხმარდებოდა ადგილობრივ მოთხოვნილებებს, რაც არსებითი ფაქტორი იყო რესპუბლიკათა ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაში..." (ა.ათანელიშვილი, „სოვეტოლოგები საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ", თბილისი, 1991, გვ. 38).

ევროკავშირი უფრო დსთ-ს ჰგავს, სადაც ყველა დამოუკიდებელმა წევრ-სახელმწიფომ ეკონომიკურად თავის თავს უნდა მიხედოს, უბრალოდ, მოხსნილია სავიზო და საბაჟო ბარიერები. თუ რამეს აწარმოებ, სხვა წევრების ბაზრებზე გაასაღებ; თუ არა და, შენ იქნები იმათი გასაღების ბაზარი. ვინც აწარმოებს და ასაღებს, მდიდარია; ვინც ვერა, – ღარიბი. ამიტომ არიან იქ მდიდარი ქვეყნები (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი) და ღარიბი ქვეყნები (საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, აღარაფერს ვამბობ რუმინეთსა და ბულგარეთზე). მდიდარ ქვეყნებში ყველაფერი მოწესრიგებულია: მაღალი ხელფასები, უმუშევრობის დახმარებები, პენსიები, სამედიცინო დაზღვევა და ა.შ.; ღარიბ ქვეყნებში – როგორც ღარიბებს შეეფერებათ. ევროკავშირის წევრობა არ ნიშნავს, რომ მდიდარმა წევრ-სახელმწიფოებმა თავიანთი სიმდიდრე ღარიბ წევრ-სახელმწიფოებს უწილადონ. ამიტომ მდიდარი რჩება მდიდრად, ღარიბი – ღარიბად, როგორც, მაგალითად, რუმინეთი და ბულგარეთი. ახლა ის ვიკითხოთ, რას აწარმოებს საქართველო, რომ ევროპის ბაზარზე გაყიდოს? არც არაფერს. ღვინო და ხილი თავიანთი რეკლამირებული ვერ გაუსაღებიათ და ურეკლამო ქართული ვის რად უნდა?! ერთადერთი ქვეყანა, სადაც ქართული ღვინო-ბორჯომისა და ხილის ყადრი იციან და რეკლამა არ სჭირდებათ, ეს რუსეთის ბაზარია, მაგრამ რუსეთი „ოკუპანტია". ამიტომ ქართველ ხალხს იმის ილუზია არ უნდა ჰქონდეს, რომ ევროკავშირში შესვლით ეკონომიკურად პრობლემას გადაიწყვეტს. თუმცა, მისი ევროკავშირში გაწევრებაც ვაი-პოლიტიკოსების უსინდისო ტყუილია. ევროკავშირში გაწევრებაზე მოლაპარაკე საქართველოს ხელისუფლება იმ მწყემსს მოგვაგონებს, დამშეულ ცხვრის ფარას, ყურადღების გადასატანად, ჭერში მჩხავანა კატა რომ ჩამოუკიდა. ჰაცე, ვირო, ნუ მოკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო. იონჯა მოვა, მაგრამ ევროკავშირი არ მოვა. ასოცირება – კი, ბატონო, იასოცირე და იყავი. ასოცირება ფიქრია, ოცნებაა და ოცნებით შეგვიძლია ევროპაც გავაკვირვოთ! თუმცა, ჯერ ერთსქესიანები უნდა ვაქორწინოთ. ეს უბრალოდ სამართლებრივი საკითხია: ერთსქესიანმა „ცოლ-ქმარმა" უასოცირებო საქართველოში რომ მოინდომოს ცხოვრება და ერთ-ერთი გარდაიცვალოს, მეორე მის ქონებას მემკვიდრეობით ვერ მიიღებს. ამიტომ საჭიროა ასოცირება...

**გ. გ. როგორ უყურებენ დასავლეთის პოლიტიკური წრეები ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელიც, სამართლიანობის აღდგენის მიზნით, ძველი ხელისუფლების წარმომადგენელთ, კერძოდ, სააკაშვილს, სამართალში აძლევს?**

**ო. ხ.** დასავლეთის პოლიტიკური წრეები ამჟამინდელ ხელისუფლებას უყურებენ, როგორც გარდამავალს, დროებითს, რომელმაც უნდა „გადაარჩინოს" და კვლავ ხელისუფლებაში მოიყვანოს ნაციონალური მოძრაობა. ისინი ცოტა ხნით „ასვენებენ" ქართველ ხალხს სააკაშვილისაგან. მერე ეს უკანასკნელი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუ ნერვებმა არ უმტყუნა, „ოცნებას" გადაარჩენს (ორ წელიწადში მას უკვე გადასარჩენად ექნება საქმე), და იქნება, როგორც აშშ-ში ორპარტიული კარუსელი, მიშასა და „მიშა 2-ის" მონაცვლეობით. მაკკეინი და ძმანი მისნი მათი სურვილების განუხრელად შემსრულებელ მიშას ამჯობინებენ, მაგრამ მიშაზე ნაკლები შემსრულებელი არც „მიშა 2" იქნება.

დასავლეთის პოლიტიკური წრეები უკმაყოფილონი არიან ამჟამინდელი ხელისუფლებით, კერძოდ, პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის მოქმედებით, რადგან მან გაბედა სამართლიანობის აღდგენა და პასუხისგებაში მისცა უმძიმეს დანაშაულებში მხი-

◉ გამოამინდების მოლოდინში...

# ხალხს გულისხმობს, თუმცა, არაფერს არ ეკითხება...

## ბელგიიდან სამშობლოში ჩამოსულ ომარ ხახაშვილს ესაუბრება გურამ გოგიაშვილი

ლებული სააკაშვილი და მისი მაღალჩინოსნები. ეს უკანასკნელნი წლების მანძილზე, იდეოლოგიურად თუ ფინანსურად (მათივე დახმარებებიდან და სესხებიდან უკან დაბრუნებული ქრთამებით, რადგან თავიანთ ქვეყნებში ერთ ცენტსაც ვერ მოიპარავენ), ერთგულად ემსახურნენ იმ წრეებს და ისინიც თავიანთ მოვალეობად თვლიან, არა მარტო გასამართლებისაგან დაიხსნან, არამედ პოლიტიკურად „გადაარჩინონ“ და კვლავ ხელისუფლებაში დააბრუნონ „თავიანთი ძაღლიშვილები“. ამიტომ იყრუებენ სინდისს, თვალს ხუჭავენ პრინციპებზე და ენა უბრუნდებათ, სამართლის ისეთი ფეხქვეშგამთელი ტირადები ისროლონ ევროკავშირის რეზოლუციებში, რომ ყველაფრის საკუთარი თვალით მხილველი ქართველი ხალხი გაოცებისაგან გააშტერონ:

„უნდა აღინიშნოს, რომ ორი წლის შემდეგ ყოფილი მმართველი პარტიის თითქმის ყველა მაღალჩინოსანი დაპატიმრებულია, წაყენებული აქვს ბრალდებები ან გამოძიების ქვეშაა, მათ შორის, დაპატიმრებული არიან ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი, თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. დაუსწრებლად წაუყენეს ბრალი და წინასწარი პატიმრობა მიუსაჯეს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, თავდაცვის ყოფილ მინისტრს დავით კეზერაშვილსა და იუსტიციის ყოფილ მინისტრს ზურაბ ადეიშვილს... ასამბლეა გამოხატავს შეშფოთებას ოპოზიციონერებისა და ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ოჯახის წევრების საკუთრების დაყადაღების ფართო გამოყენებასთან დაკავშირებით ისეთი სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებიც არ შეიცავს ბრალდებებს უკანონო ქმედებასთან დაკავშირებით... ასამბლეა შეშფოთებულია იმ ბრალდებებთან დაკავშირებით, რომ ყოფილი მაღალჩინოსნების დაკავება და სამართლებრივი დევნა პოლიტიკურად მოტივირებულია და ადგილი აქვს შერჩევით და რევანშისტულ სამართალს... ასამბლეა ხაზს უსვამს, რომ დანაშაული დაუსჯელი არ უნდა დარჩეს, მათ შორის და განსაკუთრებით მთავრობის პირებისა და პოლიტიკოსების მიერ ჩადენილი, იქნება ეს წარსულში, თუ ახლა. აღნიშნავს ყოფილი პრეზიდენტის სააკაშვილისთვის წაყენებულ ბრალდებებს და მართალია, ხაზს უსვამს, რომ არავინ დგას კანონზე მაღლა, მოუწოდებს ხელისუფლებას ქვეყანაში დაძაბული პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით, უზრუნველყოს, რომ სამართლებრივი ქმედებები, მათ შორის, წინასწარი პატიმრობის მოთხოვნა სააკაშვილის წინააღმდეგ არ იყოს პოლიტიკური მოტივების ზეგავლენის ქვეშ...

ასამბლეა ასევე შეშფოთებას გამოხატავს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ბაჩო ახალაიას წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობის გამო და სთხოვს ხელისუფლებას, გამოიყენოს ყველა არსებული სამართლებრივი შესაძლებლობა, შეცვალოს მისი წინასწარი პატიმრობა რომელიმე სხვა არასაპატიმრო პრევენციური ღონისძიებით“...

საგანგაშო კი ის არის, რომ, კრიმინალი ნაცების ხელისუფლებაში დასაბრუნებლად, ამ ვაი-ევროპარლამენტარებს მხარს უბამენ (რასაკვირველია, ჩუმ-ჩუმად) პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილისავე ზოგიერთი ვაი-მინისტრი.

**გ. გ. თუ ასეა, რაში სჭირდებათ ნაცებს გადატრიალება და „თავისუფალი ზონის“ ეს „თავისუფალი ექსცესები?**

**ო. ხ.** გადატრიალება რაში სჭირდებათ, როცა „ოცნება“ თავის თავს თვითონ ატრიალებს?! ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი ისე დაალაგა, რომ ნაცებს გადატრიალება აღარ დასჭირდეთ.




**ომარ ხახაშვილი (მარცხნიდან მესამე) სააკაშვილისგან „სამშობლოს“ შენობიდან გამოგდებულ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციაში, რომელიც ამჟამად გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) 19 ნომრის კერძო ბინაშია ქირით შეკედლებული. სურათზე ბატონ ომართან ერთად ჩანან მასპინძლები — მარცხნიდან ალეკო ასლანიშვილი, რუსლან რუსია და გურამ გოგიაშვილი.**

**მამია ალაშვილის ფოტო**

„თავისუფალი ზონის“ ექსცესები კი იმისათვის არის საჭირო, რომ წინასწარვე დააშინონ ხალხი, რომ არ გაბედოს ხელისუფლების გადაბარების გაპროტესტება.

**გ. გ. რა სახელი აქვთ დღეს ევროპაში გადახვეწილ ქართველებს, როგორც ამბობენ, ევროპის ციხეები სავსეა ბედის მაძიებელი ქართველებით! საერთოდ, როგორ გამოიყურება ჩვენი დიასპორა?**

**ო. ხ.** როგორიც „მიგრაციული რისკის ქვეყნებიდან“ (ევროპელები ასეთ ქვეყნად განიხილავენ, აფრიკულ ქვეყნებთან ერთად, საქართველოსაც) ლტოლვილს, რომელიც უსახსრობის გამო წვრილმანი ქურდობისთვის ხშირად ციხეში ხვდება, თუმცა საშიშ პიროვნებად არ განიხილავენ. არც სძულთ და არც უყვართ. გოგო შეიძლება გათხოვდეს ადგილობრივზე, ბიჭს ადგილობრივის ცოლის მოყვანის პერსპექტივა არა აქვს. ქართველ ბიჭებს ცოლად აქ მეტწილად რუსები და უკრაინელები მოჰყავთ. მათთვის ქართველი ჯერ კიდევ რაღაცას ნიშნავს. რაც შეეხება დიასპორას, შეიძლება ითქვას, რომ ქართველებს დიასპორა არა აქვთ. დიასპორას უცხოეთში ერთმანეთის სიყვარული აკავშირებს, ქართველებს კი ერთმანეთი ისევე უყვართ უცხოეთში, როგორც საქართველოში.

**გ. გ. რა დონეზე იცნობენ საქართველოს, როგორ ვჩანვართ ევროპიდან? რა კუთხით უფრო ვართ წარმოდგენილი ევროპელის თვალში?**

**ო. ხ.** ნათქვამია, ქვეყნის გაცნობა მისი მწერლებით იწყებაო. გადაშალეთ ევროპული ენციკლოპედიები და იქ ნახსენები არ არიან რუსთაველი, ბარათაშვილი, ვაჟა... სხვაზე რაღა ვთქვა?! ორად-ორი, ვინც იქ ნახსენებია, სტალინი და ბერიაა, რა თქმა უნდა, უარყოფით კონტექსტში და ისინიც, ალბათ, კიდევ კარგი, როგორც რუსები. ევროპელებს კოლონიზატორული მენტალიტეტი შემორჩათ, მაღლიდან უყურებენ სხვა ხალხებს. ჩერჩილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, სტალინი საყვედურობს მას „ევროპული განსაკუთრებულობის“ გრძნობის გამო. ეს მაშინ, როცა ჩერჩილი მაღალი აზრის გახლდათ სტალინზე. მოკვდავი ქართველი როგორღა გამოჩნდება მოკვდავი ევროპელის თვალში?!

**გ. გ. რა თვალსაზრისით ვართ ევროპის პრესის ყურადღების ცენტრში, თუ საერთოდ არ ვარსებობთ ევროპული პრესისთვის?**

**ო. ხ.** თუ საქართველოში რამე განსაკუთრებული არ მოხდა, ევროპულ პრესაში არაფერი იწერება ჩვენზე. შეიძლება ითქვას, რომ იგი არც „ასოციირებს“ ჩვენთან.

**გ. გ. როგორ უყურებენ თვითონ ევროპელები ევროპაში ამერიკის ჰეგემონურად დამკვიდრების საკითხს? რა ურთიერთობაში არიან ევრო და დოლარი? არსებობს თუ არა პრობლემები ევროპისა და ამერიკის ურთიერთობებში?**

**ო. ხ.** ევროპელები თავისუფლების ღირსად თვლიან თავს და, ცხადია, უარყოფითად უყურებენ ევროპაში ამერიკის ჰეგემონურად დამკვიდრების საკითხს. მაგრამ ამერიკა იმის უფლებას არ აძლევს თავს, თუ, უფრო სწორად, ევროპელები არ აძლევენ მას იმის უფლებას, რომ მან ისე იჰეგემონოს ევროპაში, როგორც საქართველოში. მაგალითად, ამერიკა ვერ ერევა ისეთ საკითხებში, დაჰკითხონ თუ არა ფრანგებმა ყოფილი პრეზიდენტი სარკოზი, ან გაასამართლონ იტალიაში ბერლუსკონი; ამერიკაში წმინდა კაპიტალიზმია (სამედიცინო დაზღვევის კანონი, ძლივსძლივობით, ახლაღა მიაღებინა ობამამ კონგრესს, ევროპაში — სოციალიზმთან კონვერგირებული კაპიტალიზმი; ამერიკის უმეტეს შტატში კვლავ სიკვდილით დასჯის კანონი მძვინვარებს, ევროპაში იგი დიდი ხნის გაუქმებულია; ამერიკაში დოლარი ტრიალებს, ევროპაში — ევრო, სტერლინგი, კრონი და ა.შ. ერთადერთი, რაშიც ამერიკის ჰეგემონობას ცდილობს ევროპაში, ეს საგარეო პოლიტიკაა, თუმცა, ევროპელები ზოგჯერ აქაც ამჟღავნებენ თავიანთ უკმაყოფილებას. მაგალითად, ჟაკ შირაკის მიერ ბუშისათვის ერაყთან ომის საკითხში წინააღმდეგობის გაწევა, რამაც ამერიკაში ფრანგული ღვინოების გაყიდვა შეაჩერა. ასე აუპატიურებს პოლიტიკური კონიუნქტურა „თავისუფალ ბაზარს“. ჩვენ კიდევ იგივე მოქმედება გენადი ონიშენკოსგან გვიკვირს!

**გ. გ. ევროპელთა დამოკიდებულება უკრაინის ახალი ხელისუფლებისა და იქ მიმდინარე ამბების მიმართ ერთმნიშვნელოვანია თუ სხვადასხვა შეხედულებები არსებობს?**

**ო. ხ.** ევროპელთა დამოკიდებულება უკრაინის ახალი ხელისუფლების მიმართ ძალზე უარყოფითია, რადგან იგი ხელს უშლის მათ რუსეთიდან გაზის მიღებაში და თავის აღმოსავლეთ ნაწილთან ნორმალური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობაში, დიდი რუსული ბაზრით სარგებლობაში. მაგრამ ამერიკას სურს, გახლიჩოს ევროპა და დაეუფლოს მის აღმოსავლეთ ნაწილს, ეს ეკონომიკურად დაასუსტებს ევროპას და უფრო მორჩილს გახდის მის მიმართ. ამას, ცხადია, ევროპელები აცნობიერებენ და ენთუზიაზმს არ იჩენენ ამერიკელების ინსტრუქციების შესრულებისას. ამის გამო შეუკურთხა ევროკავშირს აშშ-ის საგარეო უწყების წარმომადგენელმა ვიქტორია ნულანდმა: „Fuck the EU! — Exactly!“.

**გ. გ. ევროპული დემოკრატია — ეს საბოლოო სახეა დემოკრატიისა თუ კიდევ დიდი გზაა გასავლელი ჭეშმარიტ დემოკრატიამდე?**

**ო. ხ.** დემოკრატია დემოსს, ხალხს გულისხმობს, მაგრამ ხალხს არსად არავინ არაფერს არ ეკითხება. თუმცა დასავლეთ ევროპაში ხალხის მდგომარეობა მოწესრიგებულია. არიან მდიდრები და ღარიბები, მაგრამ ყველა უზრუნველყოფილია ნორმალური ცხოვრების პირობებით. თუ საქართველოს ხელისუფლებაც ამაზე გააკეთებს ასოციირებას და მოსახლეობას ელემენტარული ცხოვრების პირობებს შეუქმნის, კარგი იქნება. მაგრამ იგი, როგორც ჩანს, ჯერ საკუთარი ფუფუნების შექმნით არის დაკავებული.

**P. S. მინაწერის სახით, დიდად სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრ რამაზე გულგატეხილ და იმედგაცრუებულ ჩვენს მკითხველს გასამხნევებლად და გულის ამოსაწევად უნდა შევახსენო მხოლოდ ერთი ადგილი ჩვენივე გაზეთში გამოქვეყნებული ომარ ხახაშვილისა და ჩემი რამდენიმე წლის წინანდელი ბაასიდან იმ იმედებით, რომ ხალხი მთლად ხელისუფლებაში დროებით მყოფ ენად გაკრეფილ ადამიანთა ხელებჩამოშვებულ შემყურედ არ დარჩება და თავის თავში მოიძიებს და მოიკრებს იმ ძალას, რომელმაც საბოლოოდ უნდა ააღორძინოს ჩვენი პოლიტიკურად თუ სოციალურ-ეკონომიკურად გაჯოჯოხეთებული ცხოვრება.**

***— თქვენს პოლიტიკურ ნებაზე რომ იყოს დამოკიდებული, რას „გადმონერგავდით“ ბელგიიდან საქართველოში და რას არა? საერთოდ, როგორ უყურებთ ევროპას სოციალურად, პოლიტიკურად და ზნეობრივად? რით განსხვავდება ამჟამინდელი ევროპელი, როგორც თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის წარმომადგენელი, სხვათაგან, არაევროპელთაგან? ვთქვათ, ჩვენგან, კავკასიელთაგანაც? სუყველამ სუყველაფერი იმათგან უნდა ვისწავლოთ, თუ ზოგი რამ იმათაც აქვთ სხვათაგან სასწავლი?***

**— ჩემს ნებაზე რომ იყოს, ბელგიიდან საქართველოში გადმოვნერგავდი ხელისუფლების მიერ ხალხის პატივისცემას და ხალხის მიერ ხელისუფლების პატივისცემას. ისინი ერთმანეთზეა დამოკიდებული, მაგრამ პირველი განსაზღვრავს მეორეს. მოქალაქეთა გაუცხოება საკუთარი სახელმწიფოს მიმართ, ეს უპირველესად ხელისუფლების უპასუხისმგებლობისა და გაუკულმართების შედეგია. ბელგიელები კანონმორჩილი ხალხია, რაც იმით არის განპირობებული, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლება ამომრჩეველთა ნებას გამოხატავს. ხელისუფალნი ჩვეულებრივი ადამიანებივით ცხოვრობენ და ხშირად ველოსიპედით დასეირნობენ ხალხთან ერთად.**

**ბელგიიდან საქართველოში გადმოვნერგავდი აგრეთვე ბიუროკრატიის არარსებობას და ადამიანების დროის პატივისცემას. წინა კვირაში საჯარო რეესტრში მომიხდა ყოფნა. გულწრფელი აღტაცება უნდა გამოვხატო ევროპული სტანდარტით მოწესრიგებული რიგითობის სისტემის გამო. შარშან აქ ზედახორა იყო, მაგრამ სამწუხარო ის დარჩა, რომ პრობლემა სარკმელთან მისვლით არ წყდება. ადამიანები თვეობით, წლობით ამაოდ ცდილობენ 50 წლის წინათ სათანადო ნებართვითა და პროექტით აშენებული სახლების დაკანონება-მემკვიდრეობის გაფორმებას, ფლანგავენ ძვირფას დროს. ბელგიაში ასეთი საქმეები ერთი 15-წუთიანი ვიზიტით წყდება. გადმოვნერგავდი აგრეთვე ადამიანების პატივისცემას ზოგადის, საზოგადოს მიმართ, რაც ყველაზე უფრო აკლიათ ქართველებს და რასაც, ჰეგელის თქმით, „ათასეული წლები დასჭირდა იმ ამბავს, რათა ის ადამიანთა გონებაში შეჭრილიყო“. ავიღოთ უბრალო მაგალითი: სადარბაზოს მიმდებარე ტერიტორია და საერთო კიბეები ნაგავში იხრჩობა, კარის ზღურბლიდან კი იწყება საოცარი სისუფთავე. ბელგიაში სისუფთავე სადარბაზოდან, ქუჩიდან, სახელმწიფოდან იწყება.ზოგადის პატივისცემას ემყარება მოქალაქეობრივი შეგნება, ეროვნული ერთიანობის გრძნობა, სახელმწიფოს მოთხოვნილება. ვისაც ზოგადის გაგება არა აქვს, ის სახელმწიფოს ვერ ააგებს. კრწანისის რეზიდენციას ან შუშის გუმბათიან სასახლეს ააგებს (აიგებს), მაგრამ სახელმწიფოს ვერ ააგებს. ისტორიულად ეს გაგება, ჩანს, არსებობდა ქართლში. ამიტომაც მოხერხდა „ქართლის ცხოვრებისა“ და „საქართველოს“ (სახელმწიფოს) შექმნა.**

**ის კი, რასაც არ გადმოვნერგავდი, ეს არის ჩრდილოეთის ხალხებისათვის დამახასიათებელი კარჩაკეტილობა, რაც დეპრესიულ განწყობილებას წარმოშობს. ამ მხრივ, სამხრეთული, კერძოდ, ქართული გულგახსნილობა და თანაზიარობა უკეთესი გამოსავალია, რამდენადაც ადვილად ატანინებს ადამიანს გაჭირვებასა და პრობლემებს. გაზიარებული ჭირი ნახევარჭირიაო. აი, ეს თვისება არ აწყენდათ, რომ ჩვენგან ესწავლათ სხვებს.**

**ევროპელის ცდომილება მისი რაციონალიზმია, რაც მას ცივილიზაცია ჰგონია. იგი რაციონალისტურად განიხილავს ისეთ საკრალურ ცნებებს, როგორიცაა ოჯახი, ცოლი, ქმარი, მეგობარი. ამიტომ არის, რომ ოჯახი იშლება, მშობლებს მოხუცთა სახლში აბარებს, მეგობრობა უშინაარსო სიტყვას წარმოადგენს, უკეთეს შემთხვევაში, ლუდხანაში კომპანიის გაწევაა.**

**დეკარტმა ცუდი სამსახური გაუწია ევროპელ ადამიანს, თავის რაციონალობაში რომ დაარწმუნა: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“. სინამდვილეში, ადამიანი რელიგიური არსებაა. რელიგიურია იგი თავისი წარმოშობით და განვითარებით. ენა, ცნობიერება, თვით აზროვნება რელიგიური ფენომენებია. საკმარისია, რელიგიურ-საკრალური სამოსი გამოვაცალოთ ჩვენს ცნებებს, რომ ადამიანი იშლება და უბედურდება. ამიტომ თქვა ამას წინათ სიღნაღში ჩასიძებულმა ერთმა ამერიკელმა: „აქამდე ვიცხოვრე გონებით, ახლა მინდა გულით ვიცხოვროო“.**

**გ. გ.**

**◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# საქართველო დიპლომატიური ჩარევის ზღვარზეა

**თბილისში იმედი აქვთ, რომ ხელს შეუშლიან რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების დადებას**

**საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა, რომ 20 ოქტომბერს გამოაქვეყნებს მოქმედების გეგმას რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ახალი ხელშეკრულების დადების საპირისპიროდ, ხელშეკრულებისა, რომელიც გულისხმობს ღრმა ინტეგრაციას. თბილისში გვპირდებიან, გასცენ „აგრესიული დიპლომატიური პასუხი“ და იმედი აქვთ დასავლეთის მხარდაჭერისა. ჩვენი გაზეთის წყარომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში გვითხრა, რომ „აფხაზეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, აქვს უფლება, მოახდინოს ინტეგრირება ვისთანაც გინდა და, როგორც უნდა, ისე ღრმად“. მოსკოვში დარწმუნებული არიან, რომ შეთანხმება სოხუმთან არ ემუქრება „საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციას“.**

აფხაზეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოუქვეყნებელი რუსეთის ფედერაციასა და აფხაზეთს შორის ახალი ხელშეკრულების პროექტის განხილვის მიზნით შაბათს მოწვეული იქნა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული უშიშროებისა და კრიზისების მართვის სპეციალური სხდომა. დოკუმენტი გულისხმობს მოსკოვისა და სოხუმის მიერ შეთანხმებული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, ერთიანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის, „თავდაცვისა და უშიშროების საერთო სივრცის“, მათ შორის გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების შექმნას. უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობისათვის თბილისში გამოიძახეს საქართველოს ელჩები დასავლეთის წამყვან ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

**მიღებული გადაწყვეტილებები დამსწრეებს გააცნო თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. „ჩვენ დავიწყებთ აგრესიული ნაბიჯების გადადგმას მსოფლიო არენაზე“, —** განაცხადა მან და დაუმატა, რომ მათი კონკრეტული ჩამონათვალი გამოქვეყნდება ორშაბათს. სხდომაში მონაწილე საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძემ განაცხადა, რომ თბილისს, უწინარეს ყოვლისა, იმედი აქვს ვაშინგტონის დიპლომატიური მხარდაჭერისა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა მაია ფანჯიკიძემ 19 ოქტომბერს განაცხადა, რომ გამოიტანს საკითხს რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების შესახებ ევროკავშირის ქვეყნების მინისტრთა საბჭოს სხდომაზე 20 ოქტომბერს. მინისტრმა კი ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა აზრი გამოთქვა ქართველი და რუსი დიპლომატების შეხვედრების გაგრძელების წინააღმდეგ კარასინ-აბაშიძის ფორმატით. სხვათა შორის, თავად საქართველოს პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგებაში ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ მოსკოვთან კონტაქტებზე უარის თქმა არ ღირს.

მოსკოვში კი მოუწოდებენ თბილისს, არ ჩაერიოს ამ საკითხში. **„აფხაზეთს აქვს უფლება, განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა. მას შეუძლია, მოახდინოს ინტეგრირება ვისთანაც გინდა და რა სიღრმითაც უნდა,** — განაცხადა წყარომ რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში და შეგვახსენა: **— აფხაზეთი — სუვერენული სახელმწიფოა, იმის აუცილებლობას კი, რომ პატივი უნდა ვცეთ სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს, ჩვენი დასავლელი პარტნიორები ხშირად შეგვახსენებენ ხოლმე“. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრ ლუკაშენკომ კი გამოთქვა რწმენა, რომ ახალ ხელშეკრულებას სოხუმთან „არ გააჩნია არანაირი საფრთხე საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის პროცესისათვის“.**

ამ დროს ქართველი ექსპერტები გამოთქვამენ ვარაუდს, რომ სკანდალი მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობებში შეიძლება განზრახ იყოს პროვოცირებული იმ აფხაზი პოლიტიკოსების მიერ, რომლებიც არ იზიარებენ რუსეთთან ღრმა ინტეგრაციის იდეას. **„როდესაც გამოაქვეყნეს დოკუმენტის პროექტი მის ხელმოწერამდე, აფხაზებმა ხელოვნურად გაითამაშეს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებაზე,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში საქართველოს სააგენტო GHN-ის მიმომხილველმა დავით ავალიშვილმა. **— მათ შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა რეაქციას გამოიწვევდა ეს თბილისში, და სურდათ, შეექმნათ მოსკოვისთვის დამატებითი პრობლემები“.**

**სოხუმში კი, სხვათა შორის, სიტუაციას ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სხვაგვარად უყურებენ. „ჩვენ გვაქვს დემოკრატიული სახელმწიფო და, რასაკვირველია, მომზადებული დოკუმენტი საზოგადოებაში აღიქვეს სხვადასხვაგვარად, —** განაცხადა ჩვენთან საუბარში აფხაზეთის ექს-პრემიერმა სერგეი შამბამ. **— დადგა ეტაპი, როდესაც ურთიერთობანი რუსეთსა და აფხაზეთს შორის უნდა გადავიდეს ახალ სტადიაში, და ხელშეკრულების პროექტი, მართალია, მოითხოვს კიდეც ზოგიერთ კორექტირებას, მაინც შეიცავს აფხაზეთისთვის სასარგებლო დებულებებს. რაც შეეხება ქართული მხარის პოზიციას, ჩვენ ჩვენს ურთიერთობას რუსეთთან ყოველთვის ვაგებდით თბილისის რეაქციისაგან დამოუკიდებლად და ამჟამადაც გამოვდივართ საკუთარი ინტერესებიდან“.**

**Коммерсантъ**

**◉ ალიანჩალიანი**

## სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე ვანო მერაბიშვილს 3-წლიანი პატიმრობა შეეფარდა



**თბილისის საქალაქო სასამართლომ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე შს ყოფილი მინისტრი ვანო მერაბიშვილი დამნაშავედ ცნო. სასამართლოს გადაწყვეტილებით, ვანო მერაბიშვილს, 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით თანამდებობაზე ყოფნა აეკრძალა.**

**სანდრო გირგვლიანის საქმეზე შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს წარდგენილი აქვს ბრალდება — უფლებამოსილების გადამეტება და სამსახურებრივი სიყალბე, რაც გათვალისწინებულია 332-ე და 341-ე მუხლებით.**

**ასევე, გირგვლიანის საქმეზე, კერძოდ ოქროყანის ეპიზოდზე სასამართლოს გადაწყვეტილებით, შსს-ს ყოფილი თანამშრომელი გერონტი ალანია ნაწილობრივ გამართლდა და სასჯელის საბოლოო ვადად 4 წელი 6 თვე, 2 ათასლარიანი ჯარიმა და 2,3 წლით თანამდებობაზე მუშაობის შეზღუდვა განესაზღვრა.**

**ამავე ეპიზოდზე ბრალდებული ვალერიან მეტრეველს კი 4, 6 წელი და 2 ათასლარიანი ჯარიმა მიესაჯა.**

**როგორც ცნობილია, გერონტი ალანია ძებნაში იმყოფება, მერაბიშვილი და მეტრეველი კი პატიმრობაში არიან და საკუთარი გადაწყვეტილებით საქმის განხილვებში არ მონაწილეობდნენ. ამ საქმეზე ასევე ბრალდებულები არიან დათა ახალაია და ოლეგ მელნიკოვი, თუმცა მელნიკოვს აღიარებითი ჩვენების შემდეგ საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, დათა ახალაიას საქმე კი მისი საბერძნეთიდან ექსტრადირების საკითხის გადაწყვეტამდე ცალკე წარმოებად არის გამოყოფილი. გირგვლიანის საქმე ორ ეპიზოდს მოიცავს, მეორე ეპიზოდია, ვამეხ აბულაშვილისა და კახაბერ დაბრუნდაშვილის ოქროყანაში ცემის ფაქტი. პროკურატურის მასალებით აღნიშნული პირების ცემა ოქროყანაში იგივე სცენარით მოხდა, როგორც გირგვლიანის შემთხვევაში. საქმეში ბრალდებული ვალერიან მეტრეველი სწორედ საქმის ამ ეპიზოდზეა ბრალდებული. გირგვლიანის საქმეს საქალაქო სასამართლო რამდენიმე თვის განმავლობაში იხილავდა.**

**სანდრო გირგვლიანის მამა გურამ გირგვლიანი არაადეკვატურად მიიჩნევს ვანო მერაბიშვილისთვის სამწლიანი სასჯელის შეფარდებას. როგორც გურამ გირგვლიანმა სასამართლო პროცესის შემდეგ განაცხადა, სამწლიანი სასჯელი მერაბიშვილისთვის არაადეკვატური და სასაცილოა. მისი თქმით, გადაწყვეტს, სააპელაციო წესით გაასაჩივრებს თუ არა მერაბიშვილის მიმართ მოსამართლის აღნიშნულ გადაწყვეტილებას. „ყველამ იცის, რაც ჩაიდინეს მათ ჩემი ოჯახის წინააღმდეგ. სასაცილოა სამი წელი ვანო მერაბიშვილის დასასჯელად, იგი ფაქტობრივად ამ დანაშაულს ხელმძღვანელობდა, იმ მოტივით, რომ მისი ცოლი, თაკო სალაყაია არსად გამოჩენილიყო. სასჯელი არაადეკვატურია, პროკურატურასთან ერთად გავარკვევთ, გასაჩივრდება თუ არა ეს განაჩენი“, - განაცხადა გურამ გირგვლიანმა.**

**მისივე თქმით, სანდრო გირგვლიანის საქმეზე ცალკე პროცესი გაიმართება დათა ახალაიას მიმართ წარდგენილ ბრალდებაზე. გურამ გირგვლიანის თქმით, მთავარი საქმიდან უშუალოდ ოქროყანის ეპიზოდთან დაკავშირებით კიდევ იგეგმება ცალკე საქმის გამოყოფა. ვანო მერაბიშვილი გუშინ განაჩენის გამოცხადებასაც არ დასწრებია.**

**ინტერპრესი**

## დედამიწის ზურგზე



### კომეტა, რომელმაც მზის სისტემაში შემოიხედა, შეხვდა მარსსა და ორბიტალურ აპარატებს

**კვირას კომეტამ საიდინგ-სპრინგმა წითელ პლანეტას 139,500 კილომეტრის მანძილზე ჩაუარა — ეს დაახლოებით დედამიწიდან მთვარემდე მანძილის მესამედია. კომეტების დაახლოებას თვალყურს ადევნებდა რამდენიმე კოსმოსური აპარატი მარსის ორბიტაზე, აგრეთვე ორი მარსმავალი და სხვადასხვა ტელესკოპები — როგორც სახმელეთო, ისე კოსმოსური.**

* * *

### აშშ-ში ამომრჩევლებმა დატოვეს დემოკრატების მიტინგი, არ მოისურვეს, ესმინათ ობამას სიტყვისთვის

**ბევრ კანდიდატს დემოკრატიული პარტიიდან ეშინია, გამოჩნდეს წინასაარჩევნო მიტინგებზე ბარაკ ობამას კამპანიაში მისი პოპულარობის მკვეთრი დაცემის გამო. თუმცა, მერილენდის ვიცე-გუბერნატორს ენტონი ბრაუნს, რომელიც შტატში უმაღლეს პოსტზე აცხადებს პრეტენზიას, არ შეეშინდა ნეგატიური ტენდენციისა, რის შედეგადაც მიტინგი ჩაშლის ზღვარზე აღმოჩნდა.**



* * *

### ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა გადადო ვიზიტი სერბეთში საფეხბურთო მატჩზე უწესრიგობის შემდეგ

**გასულ ოთხშაბათს შესარჩევი მატჩი სერბეთისა და ალბანეთის გუნდებს შორის ევროპის ჩემპიონატზე ფეხბურთში შეწყდა მას შემდეგ, რაც თამაშის 43-ე წუთზე მოედანზე გამოჩნდა პატარა უპილოტო თვითმფრინავი, რომელსაც თოკებით მიბმული ჰქონდა „დიდი ალბანეთის“ დროშა. მოხდა შეტაკება გუნდების მოთამაშეებს შორის, შემდეგ კი სხვა წარმომადგენლებს შორისაც.**

### ამერიკელმა სკოლის მოსწავლეებმა ერთი წლის განმავლობაში სკოლაში იარაღის 1200-ზე მეტი ერთეული მიიტანეს

**ბავშვებისთვის ჩამორთმეულ იარაღებს შორის არის სამართებლები, დანები, პნევმატური და საბრძოლო პისტოლეტები. იარაღის უმეტესი ნაწილი აღმოაჩინეს არახელსაყრელ რაიონებში, რომელთა მცხოვრებლებსაც უწევთ თავად დაიცვან საკუთარი უსაფრთხოება.**



SIC!

# ხელოვნების მუზეუმი შველას ითხოვს

**სულ ახლახან, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ორი მასალა გამოქვეყნდა საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებით. მადლობის მეტი რა ითქმის გაზეთის მიმართ, რომელმაც ესოდენი ყურადღება დაუთმო ქართული კულტურისა და ისტორიის გადარჩენის, ყოფნა-არყოფნის საკითხს.**

ახალი არაფერია იმაში, ერის კულტურა, ისტორია მუზეუმებითაც რომ განისაზღვრება. მუზეუმებში თავმოყრილი კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები ცოცხალი მაგალითია – რანი ვიყავით და რანი ვართ, აქედან გამომდინარე – რანი ვიქნებით.

აი, „რანი ვიქნებით“, რომ სერიოზულ კითხვებს აჩენს, ჯერჯერობით ვერ გაგვითავისებია. რატომო, – იკითხავთ. იმიტომ, ბატონებო, რომ ზერელედ, ქარაფშუტულად, ზედაპირულად ვეპყრობით წარსულს, წარსულისადმი გულგრილი დამოკიდებულება კი თავისთავად შობს უკულტურო, უისტორიო მომავალს. აკი შვა კიდევაც სააკაშვილნაცების სახით, რომლებიც ხმამაღლა, მოურიდებლად გაჰყვიროდნენ! – საქართველოს ისტორია ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლიდან იწყებაო (ანუ 2004 წლიდან).

საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნებისმიერი ექსპონატი რომ მსოფლიო მუზეუმების დამამშვენებელი იქნება, ამას ზედმეტი ლაპარაკი არ სჭირდება, მაგრამ ზედმეტი და მე ვიტყოდი სისტემატური ყვირილი რომ სჭირდება, ფაქტია. ჩვენ ის ქვეყანა ვართ, ხმადაბალი ლაპარაკით რომ ვერაფერს გავხდებით.

ხელოვნების მუზეუმი, შესანიშნავი ძველი (როგორც შენობა) არქიტექტურისა და შეუფასებელი სიმდიდრე პატარა ერისა, საქართველო რომ ჰქვია, დღიდან დაარსებისა, მუდამ ყურადღების ეპიცენტრში იყო მოქცეული. საბჭოთა სისტემის ლიბერალიზაციის, ანუ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან ხელოვნების მუზეუმის სტუმართა რიცხვი მილიონობით ადამიანი იყო და ამ მილიონების დიდი ნაწილი უცხოელ სტუმრებზე მოდიოდა.

1963-65 წლებში საკავშირო-სააქციონერო საზოგადოება „ინტურისტის“ თბილისის განყოფილებაში გიდ-თარჯიმნად მუშაობის პერიოდში, თითქმის ყოველდღე, ცხადია, შაბათ-კვირის ჩათვლით, აშშ-ის ტურისტული ჯგუფები დამყავდა მუზეუმის დასათვალიერებლად, ვინაიდან მუზეუმი საქართველოს კულტურისა და ისტორიის ღირსშესანიშნავი ადგილი იყო.

ხელოვნების მუზეუმი, განსაკუთრებით მისი ე.წ. „სეიფი“, უნიკალური ქართული ხატებით, გაოცებას იწვევდა უცხოელ სტუმარში. „სეიფიდან“ გამოსული სტუმრები იქვე ფოიეში ჯიბეს არ ზოგავდნენ მუზეუმის შესახებ არსებული ბუკლეტების შესაძენად.

ხელოვნების მუზეუმი თბილისის ღირსშესანიშნაობათა ჩამონათვალში პირველ ადგილს იკავებდა. რესპუბლიკის პროტოკოლის სამსახურის უფროსად მუშაობის პერიოდში არ მახსოვს არც ერთი სახელმწიფო დელეგაცია, რომელსაც საქართველოს



გაცნობა ხელოვნების მუზეუმის „სეიფით“ არ დაეწყოს. თითქმის ყველა დელეგაციას მუზეუმის დირექტორი, შესანიშნავი მეცნიერი და მამულიშვილი შალვა ამირანაშვილი მასპინძლობდა. მისი ყველა სიტყვა, ქართული საგანძურით მოვარაყებული, ქართული ისტორიისა და კულტურის სიმფონია იყო.

მუზეუმს არც შინაური დამთვალიერებლები აკლდა. ერთი პერიოდი სკოლის მოსწავლეებიც დაჰყავდათ – სისტემატურად, დაწესებული გრაფიკის მიხედვით. არ ვიცი, დაჰყავთ თუ არა ახლაც ორგანიზებულად მოსწავლეები მუზეუმებში, მათ შორის, ხელოვნების მუზეუმში და თუ არა, გამოუსწორებელი შეცდომაა.

მუზეუმს ახსოვს კარგი პერიოდიც, „ავადსახსენებელ საბჭოთა პერიოდად“ რომ იხსენიებენ ზოგიერთები, თორემ ის, რაც მუზეუმს შემორჩა – აღარ იქნებოდა. იმჟამინდელებს გვეგონა, რომ საბჭოთა სისტემა არაჯეროვნად უდგებოდა ხელოვნების მუზეუმის საქმეს და აქედან გამომდინარე, არაერთხელ მივმართეთ კოლექტიური წერილით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილებას. მოთხოვნის თემა – მუზეუმის გაფართოება იყო. სამწუხაროდ, ისე დაიშალა საბჭოთა კავშირი, უხვი დაპირება დაპირებად დარჩა.

ნანატრი დამოუკიდებლობის 23 წელიწადის განმავლობაში არათუ მუზეუმი, თავიც აღარავის ახსოვდა. თვალწინ მიდგას გასული საუკუნის 90-იანი წლების გაყინული ზამთრის დღეები, „ელექტროგამათბობელთან“ შემომსხდარი მუზეუმის თანამშრომლები, გამათბობლის ოდნავ მოშორებით აუტანელი სიცივე, მუზეუმის კედლებს გარეთ პურის გრძელი რიგები.

მიუხედავად სიცივისა, სახურავიდან ჩამოსული წყლისა, აუტანელი პირობებისა, მუზეუმმა გაძლო და გაძლო პატრიოტი თანამშრომლების ამტანობის წყალობით. ძნელად მოიძებნებიან ადამიანები, ვინც თითქმის უხელფასოდ, აუცილებელი მინიმალური სამუშაო პირობების გარეშე ემსახურებოდნენ საქართველოს, მის ისტორიას და მომავალს.

და როდესაც გავიფიქრეთ, რომ გვეშველა, საქმე უკან წავიდა. სააკაშვილის ხელისუფლებამ, უგონო „ოპტიმიზაციის“ საბაბით, გააუქმა რამდენიმე მუზეუმის, მათ შორის ხელოვნების, ავტონომიური მმართველობა და სახელმწიფო მუზეუმს დაუქვემდებარა, რითაც ისედაც გავერანებული საქმე, მთლად მიწასთან გაასწორა. შედით ხელოვნების მუზეუმში და საკუთარი თვალით ნახეთ, როგორი არ უნდა იყოს მუზეუმი. აფსუს, ამირანაშვილის ხელოვნების საყდარი!

ამასობაში გარემონტდა სახელმწიფო მუზეუმი, თუმცა, არც ისე, როგორც ყვიროდნენ. როგორც ჩანს, არცერთ ხელისუფლებას არ უნახავს უცხოური მუზეუმები, შესაბამისი კლიმატით, შესაბამისად განათებული საგამოფენო დარბაზებით, იატაკებით (არა ისეთი უსახოთი, როგორიც სახელმწიფო მუზეუმში), აუდიო-გიდებით (ცხადია, სხვადასხვა ენაზე), მოხერხებული საცავებით და ა.შ.

და რახან ხელისუფლებას მუზეუმებისკენ გახედვაც არ სურს, მუზეუმების გაერთიანებულ ხელმძღვანელობას, ლორთქიფანიძის სახით, ფართო გზა აქვს გახსნილი. წინა, ნაცური ხელისუფლების „მუზეუმური“ აღქმა საბჭოთა პერიოდის დანაშაულთა გამოფენით იწყებოდა და თავდებოდა; გარდა ამისა, ზოგიერთი სამუზეუმო ნივთის წაღებით – სად, არავინ იცის.

შურით ვუყურებ რუსეთში წამოწყებულ კამპანიას – მუზეუმების ახალი შენობების მშენებლობით, ძველის რესტავრაციით. ვინ არ ჰყავთ მიწვეული რუსეთის ხელისუფლებას არქიტექტურული სამუშაოების ჩასატარებლად, მათ შორისაა სახელგანთქმული ბრიტანელი ხუროთმოძღვარი ჯოდი ფოსტერი.

არა მარტო რუსეთში ხდება ეს, არამედ ნებისმიერ ქვეყანაში, ვისაც საკუთარი წარსული უყვარს. ქ.დუბაიში ყოფნის დროს, პირველსავე დღეს ვეწვიე ადგილობრივ ეთნოგრაფიულ მუზეუმს. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სხვა ქვეყნებთან შედარებით, მათ შორის, არაბულ ქვეყნებთან, მოკრძალებული წარსულის მატარებელ დუბაიში ერთობ საინტერესოდ მოწყობილი მუზეუმი ვიხილე.

ჩვენთან წარსულის სიყვარული მხოლოდ სუფრაზე წარმოთქმულ სადღეგრძელოში აისახება და არსად სხვაგან. სხვაგან რომ იყოს, გარემონტებულ სახელმწიფო გალერეის კედელს, ქაშვეთის ეკლესიის მხარეს, ისეთ ფერში არ გავაკეთებდით, არც გალერეის ფასადურ შესასვლელს არ ამოვყორავდით და დამთვალიერებელს „უკანალიდან“ შესვლას არ დავაძალებდით.

ხელოვნების მუზეუმი შველას ითხოვს – როგორც შენობა, ისე იქ არსებული ექსპონატები. დღევანდელი პირობები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. არადა, რა ხმით გაჰყვიროდა ნაცური ხელისუფლება – საქართველო ტურისტულ მექად უნდა იქცესო!

არანაკლები ყურადღება ესაჭიროება ხელნაწერთა ინსტიტუტს – მართლაცდა უნიკალური წარსულის, უნიკალური ექსპონატების სამყაროს.

23 დამოუკიდებელი წლის განმავლობაში რა არ აშენდა თბილისში – საჭირო თუ არასაჭირო, უხამსი არქიტექტურის თუ ნაკლებად უხამსი (ძველ ქალაქში გადებული უფუნქციო ხიდი, 2 საკონცერტო „ტრუბა“, საჯარო რეესტრის „სოკოები“ და ა.შ.), მაგრამ არც ერთი ნაბიჯი – ხელოვნების მუზეუმისთვის, ხელნაწერთა ინსტიტუტისთვის.

ხელისუფლებას არ სცალია, „სერიოზული“ საქმეებითაა დაკავებული, მაგრამ სად არიან ჩვენი „სასიქადულო“ ბიზნესმენები? საერთო ძალისხმევით ხომ შეიძლებოდა ხელოვნების მუზეუმის, ხელნაწერთა ინსტიტუტის საერთაშორისო სტანდარტებამდე აყვანა?!

და კიდევ ერთი რამ, რეალობამ დაგვანახა, რომ ბევრი მუზეუმის ერთი დირექციით მართვა, მითუმეტეს ერთი დირექტორით, შეუძლებელია. ხელოვნების მუზეუმს თავისი დირექტორი და არა „სხვისი“ უნდა ჰყავდეს. საკუთარ დირექტორს მეტი მოეთხოვება, მაგრამ არის კი ამის გამგები – „საშვილიშვილო“ საქმეებში ესოდენ ჩაფლული ხელისუფლება?!

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

მკვახე შეძახილი

# რატომ და რისთვის?

**ახლახან** ფრიად ეროვნულ, სახალხო ტელევიზია „ობიექტივში“ ჩემთვის ნაცნობ და თითქმის მივიწყებულ სიუჟეტს შევასწარი თვალი. დავინტერესდი. გადაცემას ჩემი კოლეგა, საქვეყნოდ ცნობილი ტელეჟურნალისტი მერაბ ბერაძე უძღვებოდა. მასთან ერთად იყვნენ ასევე ცნობილი მეცნიერები, მეტალურგიის დარგის წამყვანი სპეციალისტები. საუბარი შეეხებოდა ამ სფეროში შექმნილ მძიმე, მე ვიტყოდი სავალალო ვითარებას, სადაც ყურადღება რუსთავის მეტალურგიულ კომბინატზეც გამახვილდა.

ამ ტიპის გადაცემები ადრინდელ ერთადერთ ტელე-რადიომაუწყებლობაში ბატონმა მერაბმა დანერგა.

არ შემიძლია, ამ მტკივნეულ საკითხს არ შევეხო და გამიჩნდა სურვილი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის ახალდანიშნულ მინისტრს არ შევეხმიანო

მე არ ვიცი, რა დამსახურებისთვის ჩაგაბარეს თქვენ ასეთი მაღალი თანამდებობა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საფუძვლიანად რომ დაინტერესებულიყვნენ თქვენი არც თუ ისეთი შორეული წარსულით, ასეთ შეცდომას არ დაუშვებდნენ.

თქვენ, ბატონო მინისტრო, ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, თავის მოადგილედ გაგამწესათ საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ, რომელსაც უამრავი ცოდვა-ბრალი აქვს ერის წინაშე. ახლა მე არ მინდა, ვილაპარაკო მის ფინანსურ მაქინაციებზე, რომლის შესახებაც არაერთხელ წერდა პრესა და ეს მასალები დღემდე განუხილავია სახელმწიფო აუდიტის სამსახურში. დღეს მე სხვა ამბავს უნდა შევეხო. თქვენ ბატონმა შენგელიამ ამხელა თანამდებობა მარტო იმიტომ გიბოძათ, რომ სამსახურიდან გაგეყარათ ათასობით თანამშრომელი ისე, რომ მათთვის ელემენტარული მადლობაც არ გეთქვათ. დიახ, თქვენ ერთი ხელის მოსმით, მშიერ-მწყურვალე დატოვეთ უამრავი შემოქმედი, მათ შორის, ისინი, ვინც ტელევიზიის აკვანთან იდგა და ამით საშინელი ცოდვა ჩაიდინეთ! ყველას ვერ ჩამოვთვლი, თუმცა, ერთ ჩემს კოლეგაზე მაინც გავამახვილებ ყურადღებას, რომლის რეგალიებიც ბარე ათ ჟურნალისტს ეყოფა საამაყოდ. აი, ბატონო, მისი დამსახურების არასრული სია: მწერალთა კავშირისა და ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, 1992 წლის ქვეყნის ყველაზე პოპულარული ჟურნალისტი, საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის საგანგებო პრიზის „მამულის ერთგულებისათვის“ პირველი მფლობელი, ნიკო ნიკოლაძისა და იუნესკოს პრემიების ლაურეატი, ჟურნალისტთა ფედერაციის 4 საგანგებო პრიზის მფლობელი არაორდინარუდოი რეპორტაჟებისათვის, რამდენიმე წიგნის, კინოსცენარის და სახელმწიფო თეატრებში დადგმული პიესის ავტორი, აფხაზეთში ჟიული შარტავას სპეცჯგუფის წევრი.

სხვათაშორის, ბატონო მინისტრო, თქვენმა მაშინდელმა უფროსმა, ბატონმა შენგელიამ, ეს ჟურნალისტი ორჯერ ზედიზედ თავისი ხელით წარადგინა სახელმწიფო პრემიაზე, როგორც მთელ სატელევიზიო სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და მამულიშვილური გადაცემის „ ენერგიის“ ავტორი და წამყვანი, რომლის წყალობით ჩვენში უამრავი მაღალმთიანი სოფელი გადაურჩა აყრას. შემოქმედი, რომლის შესახებაც, ბარე 50-ზე მეტი აღფრთოვანებული რეცენზიაა გამოქვეყნებული. ყველაფერს თავი გავანებოთ, მარტო იმის აღნიშვნა რად ღირს, რაც ქართული მწერლობის კლასიკოსმა ბატონმა ჭაბუა ამირეჯიბმა ბრძანა: „ფასდაუდებელია მერაბ ბერაძის დამსახურება ერის წინაშე, რადგან რომ დაინერგოს თუნდაც მეათედი იმისა, რასაც იგი ქადაგებს, ცხოვრება საქართველოში გაცილებით გაიოლდება!“ იცით კი თქვენ, ბატონო მინისტრო, რომ მერაბ ბერაძე ის ერთადერთი ჟურნალისტი იყო მთელს მედიასივრცეში, რომელიც აქტიურ პროპაგანდას უწევდა მეცნიერებას, გამოგონებებს და, რაც მთავარია, მზის ენერგიის წყაროების დანერგვას, რისთვისაც ამერიკელ ალ გორს მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული – ნობელის პრემია მიანიჭეს, თქვენ კი მას სამსახურის კარი გადაუკეტეთ და მიზეზად ის მოიყვანეთ, რომ თურმე მისი გადაცემები არაფრისმთქმელი და უნაყოფო ყოფილა (!?).არადა, სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ საქართველოს მაღალმთიანეთში განთავსებულ ეკლესია-მონასტერში, იქ, სადაც ელექტროენერგია ვერ აღწევს, სინათლეს მზის სხივებიდან იღებენ, რაც ჭეშმარიტად ღვთის სამსახურია და ამას სწორედ მის სახელს უკავშირებენ? იცით კი თქვენ, რომ მაშინ, როცა მისი პროგრამა საქართველოს საზოგადოებრივ არხზე გადიოდა, ჩვენში დაინერგა ბევრი მნიშვნელოვანი მეცნიერული სიახლე და გამოგონება. აგუგუნდა 500 მიკროელექტროსადგური, 450 – ნაკელისგან ბუნებრივი აირის ( გაზის ) მიმღები სისტემა, ამდენივე მზისგან წყლის გამაცხელებელი. ასევე მზისგან ელექტროენერგიის მომცემი დანადგარი და ბევრი, ბევრი სხვა, ხოლო გადაცემა რომ არ დაგეხურათ, ეს ციფრები აუცილებლად გაათმაგდებოდა და ამ სიკეთით მინიმუმ 100 ათასი ადამიანი ისარგებლებდა. აი, რამხელა ზარალი მიაყენეთ თქვენ და ბატონმა შენგელიამ გაუაზრებელი გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს! (უფრო მკაცრადაც შეიძლებოდა გამოგვეთქვა!). დიახ, ეს დიდი შეცდომა იყო,თქვენ ორივემ, საქართველოსთვის მეტად საზიანო გადაწყვეტილებას მოაწერეთ ხელი. გვინდა, იცოდეთ, რომ დღეს, ათი წლის შემდეგაც, თქვენგან უარყოფილი ჟურნალისტი, მეტად ნაყოფიერად მუშაობს მედიაკავშირ „ობიექტივზე“ და მის საავტორო გადაცემას უამრავი მაყურებელი ჰყავს.

აი, ძალიან მოკლედ რისი თქმაც მინდოდა.

**გივი ჯახუა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

ვითარება

# საზედამხედველო საბჭო და მიმართვა პრემიერ-მინისტრს



**თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის ნოემბერში მოსკოვში ევროპის თასი გათამაშდება. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ქართველმა ფალავნებმა გროზნოსა და ხასავიურტის ტურნირები გამოტოვეს და ჯერჯერობით გაურკვეველია, გამოვლენ თუ არა კონტინენტის თასზე.**

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა კი განაცხადა, მოსკოვის შეჯიბრებისთვის მზადებას 22 ოქტომბრიდან შევუდგებითო, თუმცა, ფალავნების პროტესტი კვლავ არ ცხრება და ვარჯიშის დაწყება სათუოა.

ფედერაციის პრეზიდენტის ლუკა კურტანიძის გადადგომის მოთხოვნით მოჭიდავეები გუშინაც სპორტის სამინისტროსთან შეიკრიბნენ და პრემიერ-მინისტრს მდგომარეობის დარეგულირების თხოვნით მიმართეს. ოლიმპიურმა ჩემპიონმა რევაზ მინდორაშვილმა, ორგზის პრიზიორმა გიორგი გოგშელიძემ საჭიდაო სამყაროს სახელით კიდევ ერთხელ მოითხოვეს კურტანიძის გადადგომა და ყოველგვარი პოლიტიკური სარჩული გამორიცხეს.

ამასობაში შეიქმნა 7-კაციანი საზედამხედველო საბჭო (თავმჯდომარე სპორტის მინისტრი ლევან ყიფიანია, მოადგილე — სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი), რომელიც თავის დასკვნას დადებს. საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა ედიშერ მაჩაიძემ **(სურთზე)** სიტუაციის შეძლებისდაგვარად მალე დარეგულირების და ამ საქმეში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა.

**კობა კობახიძე**

ჭადრაკი

# ეპიცენტრმა ბათუმში გადმოინაცვლა

**„ბებერი კონტინენტის“ 45 ქვეყნის 1000-ზე მეტმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი აჭარის დედაქალაქში 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობაზე. ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართველთა (140 წევრი) და რუსთა (136) დელეგაციებია. შეჯიბრების მონაწილეები ხუთვარსკვლავიან სასტუმროებში — „რედისონში“, „შერატონსა“ და „ოაზისში“ ცხოვრობენ. ორთაბრძოლებს „შერატონისა“ და „ინტურისტის“ უნიკალური დარბაზები მასპინძლობს.** გასულ უქმეებზე მოზარდთა კონტინენტის პირველობის მონაწილეებს ბათუმის დრამატულ თეატრში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი, სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე, ბათუმის მერი გიორგი ერმაკოვი, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი თავამაიშვილი მიესალმნენ.



მსგავს შეჯიბრებას აჭარის დედაქალაქმა ოთხი წლის წინათაც უმასპინძლა. მაშინ ჩემპიონები გახდნენ მარიამ დანელია და ქეთი წაწალაშვილი. საერთოდ, ქართველები ევროპის ასაკობრივ პირველობებში ორ ათეულ წელზე მეტია მონაწილეობენ. ამ ხნის განმავლობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

**10-წლამდელებში:** ნანა ძაგნიძე (1997), ნაზი პაიკიძე (2003), მერი არაბიძე (2004);

**12-წლამდელებში:** ვალერიან გაფრინდაშვილი (1993, 1994), ანა მათნაძე (1994, 1995), ნანა ძაგნიძე (1999), ნაზი პაიკიძე (2005), მერი არაბიძე (2006);

**14-წლამდელებში:** გიორგი მარგველაშვილი (2004), დავით ბენიძე (2005), ანა მათნაძე (1997), ლელა ჯავახიშვილი (1998), ნაზი პაიკიძე (2007), მერი არაბიძე (2008);

**16-წლამდელებში:** ანა მათნაძე (1998), ნაზი პაიკიძე (2008), მარიამ დანელია (2010).

**18-წლამდელებში:** მიხეილ მჭედლიშვილი (1997), ზვიად იზორია (2001), ინგა ჭარხალაშვილი (2001), სალომე მელია (2004, 2005), ქეთი წაწალაშვილი (2010).

ბოლო ოთხი წელიწადია, არც ერთ ასაკში ევროპის ჩემპიონი არ გვყოლია. ქართველებმა იქნებ ახლა — ამდენი ხნის „შესვენების“ შემდეგ გატეხონ ნავსი.

პირველი ტურში ჩვენებურთაგან ბევრმა გაიმარჯვა, მათ შორის ნინო ხომერიკმა პაულა-ალექსანდრა გიტუ (მოლდოვა) დაამარცხა, ნატო იმნაძემ ადი ფედეროვსკის (ისრაელი) სძლია, ნიკოლოზ ქუმსიაშვილმა ნიკო გეორგიადისს (შვეიცარია) გააჩერებინა საათი, გიორგი სიბაშვილმა სამუელ სევსეს (სლოვაკეთი), ხოლო ნიკოლოზ ცომაიამ ქუენტი ბარს (საფრანგეთი) აჯობა.

ჩემპიონებსა და პრიზიორებს შვეიცარიული სისტემა გამოავლენს ცხრა ტურად.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**სანაკრებო პაუზის შემდეგ განახლებული ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მეცხრე ტურმა კიდევ უფრო გამოკვეთა თბილისის „დინამოს“ ახალგაზრდული შემადგენლობის სალიდერო პოზიცია.**

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც კახი გოგიჩაიშვილის გუნდმა მცხეთაში დედაქალაქური დერბი მოუგო ტრადიციულად უხერხულ მეტოქეს — „ვიტ ჯორჯიას“ — 1:0 (ჩისკო), ხოლო მისმა უახლოესმა მდევარმა „სამტრედიამ“ რუსთავში ძვირფასი ქულები დაკარგა „მეტალურგთან“ — 1:1.

იმავე დღეს გამართული სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია აგრეთვე „ცხინვალის“ მიერ მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვება საჩხერის „ჩიხურასთან“ — 2:1, რამაც კახი კაჭარავას გაწვრთნილ შეგირდებს საშუალება მისცა წამყვან ტრიოში დამკვიდრებულიყვნენ, არადა, თავიდან მეტოქე დაწინაურდა — 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „დინამო“ — 20, „სამტრედია“, „ცხინვალი“ — 17-17 ქულა.

**X ტურში დიდ ინტერესს იწვევს დინამოელთა და ცხინვალელთა ბრძოლა, რომელსაც 24 ოქტომბერს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენა“ უმასპინძლებს.**

* * *

**იტალია.** „რომა“ — „კიევო“ 3:0, „სასუოლო“ — „იუვენტუსი“ 1:1, „ფიორენტინა“ — „ლაციო“ 0:2, „ინტერი“ — „ნაპოლი“ 2:2, „კალიარი“ — „მილანი“ 1:3.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ — „ეიბარი“ 3:0, „ლევანტე“ — „რეალი“ 0:5, „ატლეტიკო“ — „ესპანიოლი“ 2:0, „ელჩე“ — „სევილია“ 0:1.



**ინგლისი.** „სიტი“ — „ტოტენჰემი“ 4:1, „კრისტალ პალასი“ — „ჩელსი“ 1:2, „არსენალი“ — „ჰალი“ 2:2, „ქპრ“ — „ლივერპული“ 2:3.

**გერმანია.** „ბაიერნი“ — „ვერდერი“ 6:0, „შტუტგარტი“ — „ლევერკუზენი“ 3:3, „კიოლნი“ — „ბორუსია“ 2:1, „შალკე“ — „ჰერტა“ 2:0.

**გიორგი შოთაძე**

ხელბურთი

# თასი – „სამტრედიას“



**გლდანში ხელბურთელ ვაჟთა რვა გუნდი მონაწილეობდა საქართველოს თასის გათამაშებაში. შესანიშნავად იასპარეზა „სამტრედიამ“ (სურათზე — ირაკლი თევზაძე, ჯაბა ხაჟომია, ვეფხია ზურაბიანი, ალექსანდრე ხონელიძე, გოგიტა ნიკურაძე. ავთანდილ ქავზინაძე, სპარტაკ ელგანდაშვილი, ლექსო წითელიშვილი, ლევან სიხარულიძე, არჩილ კიკნაძე, გიორგი წივწივაძე, გიორგი სამყურაშვილი, დავით ხელისუფალი, დავით დუნდუა), რომელმაც ჯგუფში სამივე მეტოქეს აჯობა, ნახევარფინალში „ბათუმი“ დაამარცხა და ფინალში თბილისის „პეგასს“ დაუპირისპირდა.** თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ — 4:1, მაგრამ მასპინძლებმა წონასწორობის აღდგენა შეძლეს - 4:4. ტაიმის მიწურულს დედაქალაქელებს ორი მოთამაშე გაუძევეს და „სამტრედიამ“ ანგარიშში სხვაობა ხუთ ბურთამდე გაზარდა — 18:13. შესვენების შემდეგ თბილისელები გააქტიურდნენ, თან ორთაბრძოლის მე-40 წუთისთვის უკვე იმერლები დარჩნენ მოედანზე 5 მოთამაშით და „პეგასმა“ სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა — 23:24. მატჩის ბოლო 10 წუთი სტუმრებისა იყო. საბოლოოდ „სამტრედიამ“ 31:24 გაიმარჯვა და მთავარი ჯილდო დამსახურებულად მოიპოვა. ახლა სამტრედიელები ევროპული ტურნირისთვის მოემზადებიან — ნოემბერში „ჩელენჯ კაპზე“ ფინეთის კლუბ „რიიჰიმიაენ კოქსსთან“ გაარკვევენ ურთიერთობას.

**ფინალი.** „სამტრედია“-„პეგასი“ 31:24

**„სამტრედია“:** სამყურაშვილი. თევზაძე — 7, ნიკურაძე — 6, წითელიშვილი — 6, ხაჟომია — 6, წივწივაძე — 5, ზურაბიანი —1, ელგანდაშვილი.

**„პეგასი“:** ცინცაძე, დ. ნარსია, დიხამინჯია — 11, გაწერელია — 6, ბაძაღუა — 4, კოხრეიძე —1, სახვაძე —1, ზარნაძე —1, ცხვარაშვილი, ქუთათელაძე.

**III-IV ადგილებისთვის.** „ბათუმი“ — „ქარიშხალა“ 38:35;

**V-VI ადგილებისთვის.** „რუსთავი“ — „იმედი“ 42:40 (დ.დ. 35:35);

**VII-VIII ადგილებისთვის.** „ფოთი“ — „გორი“ 30:29.

**გივი გაგუა**

**სურათზე: თასის მფლობელი „სამტრედია“.**

კალათბურთი

# სანიკიძემ სასტარტოში ითამაშა, „უნიქსი“ ვთბ-ლიგის ლიდერია



**ვიქტორ სანიკიძის „უნიქსმა“ ვთბ-ლიგაში ზედიზედ მე-3 გამარჯვება იზეიმა და სატურნირო ცხრილში კიდევ ერთ რუსულ კლუბ „ხიმკისთან“ ერთად გალიდერდა.**

**ქართველი კალათბურთელის გუნდმა ამჯერად სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“ დაამარცხა (73:66), სანიკიძე კი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 21 წუთში 8 ქულა, 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა.**

ვიქტორმა 4-დან 1 ორქულიანი, ამდენივე სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, ამდენივე პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი ერთბაშად 6-ჯერ დაჯარიმდნენ.

„უნიქსი“ ვთბ-ლიგაში მომდევნო მატჩს 2 ნოემბერს ჩეხეთში „ნიმბურკთან“ გამართავს, მანამდე კი ევროლიგაში 2 მატჩი ელის: 24 ოქტომბერს შინ, ყაზანში მადრიდის „რეალთან“, ხოლო 30-ში სტუმრად იტალიურ „დინამო სასარისთან“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ვანესას „ალისფერი“ ფიქრები

**მექსიკელი ტელეწამყვანი ვანესა არიასი, რომელსაც ოკეანის გაღმა ერთ-ერთ ტელევიზიაში ეროტიკული თემატიკის გადაცემა მიჰყავს, ფეხბურთის დიდი ქომაგი გახლავთ და, რა თქმა უნდა, მექსიკის საფეხბურთო ნაკრებსაც გულშემატკივრობს, თუმცა, მისი საყვარელი კლუბის გამოცნობა არც ისე ადვილი გახლავთ.**

თუკი ვინმე იფიქრებთ, რომ მშვენიერ ვანესას რომელიმე მექსიკური ან სულაც ლათინოამერიკული კლუბი მოსწონს, ძალიან შეცდებით, რადგან ვანესა არიასის საყვარელი კლუბი, არც მეტი, არც ნაკლები, ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლავთ.

ზოგს შეიძლება ისიც ეგონოს, რომ ვანესამ „ალისფერეშმაკური“ არჩევანი მისი თანამემამულის ჩიჩარიტოს ქომაგობის გამო გააკეთა, თუმცა, 31 წლის ტელეწამყვანი ირწმუნება, „მანკუნიანელებს“ ჯერ კიდევ იმ დროიდან ვგულშემატკივრობ, როცა ამ გუნდში ჩიჩარიტოს სახსენებელიც კი არ იყოო. მით უმეტეს, ეს უკანასკნელი უკვე მადრიდის „რეალში“ გადაბარგდა და კვირას მისი მაისურით პირველი გოლიც გაიტანა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



◎ ბრძოლა დაავადების წინააღმდეგ

# ებოლა და საქართველო

**მსოფლიო ებოლას ვირუსთან ბრძოლას განაგრძობს. უკანასკნელი მონაცემებით, რომელიც ლიბერიის, სიერა ლეონეს და გვინეის ჯანდაცვის მინისტრების მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეყრდნობა, სულ ებოლას 8 376 შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან თითქმის ნახევარი 4024 მსხვერპლით დასრულდა. საქართველოში ამ ეტაპზე ნიგერიიდან შემოსულ 13 ადამიანს აკვირდებიან. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში ებოლას არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ამავე დროს, ყველა შესაბამისი უწყება მზადაა დაავადებასთან საბრძოლად.**

მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ აგვისტოში ებოლა საერთაშორისო ჯანმრთელობის სერიოზულ საფრთხედ გამოაცხადა, კონტროლი საქართველოს საზღვრებზეც გამკაცრდა — განსაკუთრებით იმ ქვეყნებიდან შემოსული ხალხის მიმართ, სადაც ებოლას ვირუსია გავრცელებული. ესენია ლიბერია, სიერა ლეონე, გვინეა და ნიგერია. რისკის ქვეშ მყოფი ამ ოთხი ქვეყნიდან მოქალაქეების საქართველოში ჩამოსვლის შემთხვევაში ყველას სპეციალური სამახსოვრო საინფორმაციო ბუკლეტი ურიგდება, სადაც წერია, რომ ცხელების, თავის ტკივილის, სისხლდენის, ღებინების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართონ ცენტრალურ ინფექციურ საავადმყოფოს. იქვე მითითებულია საკონტაქტო ნომრებიც. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ამირან გამყრელიძე გვეუბნება, მათ ქვეყანაში შემოსვლიდან 21 დღის განმავლობაში აკვირდებიან. დღეს საქართველოში ასეთი 13 ნიგერიელია. დანარჩენებმა 21-დღიანი საინკუბაციო პერიოდი უკვე გაიარეს.




ამირან გამყრელიძის თქმით, გასულ კვირას საქართველოს მთავრობამ სპეციალური განკარგულებაც მიიღო ებოლასთან დაკავშირებული საგანგებო მზადყოფნის შესახებ, სადაც სხვადასხვა უწყების პასუხისმგებლობებია გაწერილი. უკვე სამი კვირაა, დაიწყო ლექციების ციკლიც ჰემორაგიული ცხელებების შესახებ, რომელშიც ებოლაც შედის. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ეს ლექციები პირველ ეტაპზე სასწრაფო დახმარების ექიმებს, ასევე საბაჟო და სასაზღვრო სამსახურის წარმომადგენლებს ჩაუტარდათ. ლექციების ვიდეოჩანაწერები დაავადებათა კონტროლის ვებსაიტზეც დევს.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ამ ლექციების ფარგლებში ექიმებს განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ მოუწოდებს:

„დეზინფექცია, დეზინფექცია და დეზინფექცია ყოველ ფეხის ნაბიჯზე, რადგან ძირითადი ინციდენტები დამცავი საშუალებების, ამ სპეციალური ტანსაცმლის გახდის დროს ხდება. ძალიან დიდი რისკია, რომ გახდის დროს კანი ან ლორწოვანი გარსი დაბინძურდეს. წესია ასევე, რომ ჩაცმის და გახდის დროს გვერდით აუცილებლად უნდა იყოს მეორე კოლეგა, რომელიც პრაქტიკულად გაკონტროლებს, იცავ თუ არა შენ წესებს“.

ებოლის ვირუსი პირველად 1976 წელს პეტერ პიოტმა აღმოაჩინა. მას შემდეგ აფრიკის ქვეყნებში ებოლას ეპიდაფეთქება რამდენჯერმე დაფიქსირდა. თუმცა, წლევანდელი ეპიდემია ყველაზე მასშტაბურად შეიძლება ჩაითვალოს. რამდენ ხანს გაგრძელდება ეპიდაფეთქება? ამირან გამყრელიძის თქმით, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის პროგნოზი არცთუ ისე სახარბიელოა. მათი ვარაუდით, 20-30 000-მდე გაიზრდება დაავადებულთა რიცხვი, თუმცა, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრს უფრო პესიმისტური პროგნოზი აქვს. ჯერჯერობით დაავადებულთა რიცხვი იზრდება.

საქართველოში ამჟამად არის ყველა საჭირო მედიკამენტი, რაც ზოგადი სიმპტომური თერაპიისათვის არის საჭირო. არ არის მხოლოდ ორი ექსპერიმენტული წამალი, რომელიც რამდენიმე ავადმყოფზე გამოიყენეს, გვიხსნის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი. მისივე განმარტებით, საქართველოში ებოლას დაავადება ადრე არასოდეს დაფიქსირებულა. მისი გავრცელების არეალი არ არის საქართველო. შესაბამისად, ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ მისი გაჩენა საქართველოს რომელიმე შორეულ სოფელში გამორიცხულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, რეგიონების საავადმყოფოებს მაინც გადაეცემათ პერსონალური დაცვის საშუალებები, რაც ებოლას დაფიქსირების შემთხვევაში ადამიანებს აცვიათ და ახურავთ. თითო რეგიონს ხუთი კომპლექტი გადაეცემა.

რა უნდა ვიცოდეთ ებოლას შესახებ და რა წესების დაცვაა საჭირო? — ვკითხეთ ამირან გამყრელიძეს:

„თუ განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს ამის, ამ ქვეყნებში მოგზაურობას ჯობს თავი ავარიდოთ, და თუ მაინც უნდა წახვიდეთ, უნდა ერიდოთ ებოლიან ავადმყოფთან კონტაქტს, რადგან ებოლა გადადის პირდაპირი კონტაქტით, დაავადებული ადამიანის სისხლთან, ოფლთან, შარდთან, გამონაყოფთან ერთად“.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი გვაფრთხილებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ აღმოაჩინეთ, რომ გაქვთ ცხელება, თავის ტკივილი, კუნთების ტკივილი, ღებინება, დიარეა, მუცლის ტკივილი კუჭის არეში ან აუხსნელი სისხლდენა ან სისხლჩაქცევა, დაუყოვნებლივ მიმართეთ სამედიცინო დახმარების სამსახურს.

ასევე უნდა იცოდეთ, რომ ებოლას ვირუსი არ ვრცელდება წყლით, ჰაერის მეშვეობით და საკვებით, თუმცა, აფრიკაში ებოლა შესაძლებელია, გავრცელდეს გარეული ცხოველების ხორცის დამუშავებისას (ნანადირევის საკვებად გამოყენების მიზნით), დაინფიცირებულ ღამურებთან კონტაქტისას.

**ეკა ქევანიშვილი,**
**რადიო „თავისუფლება“**

სანთელი

# თამაზ იამანიძე

**მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი სამთო მანქანების დინამიკის დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, გიორგი წულუკიძის სამთო მექანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მრჩეველი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ იამანიძე.**



**თამაზ იამანიძე დაიბადა 1944 წლის 21 მარტს ქ. ზესტაფონში. 1968 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სამთო ინჟინერ-ელექტრომექანიკის სპეციალობით, რის შემდეგაც მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტში. 1974 წელს ამთავრებს ამავე ინსტიტუტის ასპირანტურას და 1975 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1997 წელს — სადოქტორო დისერტაციას ტექნიკის მეცნიერებათა დარგში.**

**შინაარსიანი და შთამბეჭდავია თამაზ იამანიძის მიერ განვლილი სამეცნიერო, სამსახურებრივი თუ საზოგადოებრივი საქმიანობა.**

**1975 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო და ხელმძღვანელ თანამდებობებზე, იყო აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო განყოფილების სწავლული მდივანი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილე, აკადემიის პრეზიდიუმის, შემდეგში აკადემიის აკადემიური საბჭოს მრჩეველი, აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების მრჩეველი და ბოლოს აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მრჩეველი.**

**თ. იამანიძე არის 45 გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მისი მეცნიერული კვლევის სფეროს წარმოადგენდა მანქანათა სიმტკიცე და დინამიკის ამოცანები. მის სამეცნიერო ნაშრომთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი კვლევები, რომლებიც ეხება ბურღვა-დარტყმითი საბურღი მანქანების ვიბროდაცვას, რომლის საფუძველზეც შექმნილია ლითონური რეზინის ორიგინალური ვიბრომქრობები, მანქანის კორპუსზე მოქმედი განივი რხევების ჩასაქრობად. ამ სამეცნიერო კვლევების გაგრძელებაა მისი მონოგრაფია „სანგრევი ინსტრუმენტისა და ქანის ურთიერთქმედების პროცესების ოპტიმიზაცია“, სადაც ნაჩვენებია, რომ მანქანათა და ნაგებობათა სიმტკიცის რთული პრობლემების გადაწყვეტა, მათ შორის, სამთო მექანიკის პრობლემების შესწავლა შეუძლებელია რღვევის პროცესების კანონზომიერებათა ცოდნის გარეშე.**

**ასევე მნიშვნელოვანია თ. იამანიძის მიერ ჩატარებული კვლევები საკონტაქტო არეში დარტყმითი იმპულსების ფორმირების დროს სისტემა „სანგრევი ინსტრუმენტი — ქანის ინერციული და დრეკადი ძალების გათვალისწინებით“.**

**თ. იამანიძისა და მისი მეცნიერული ჯგუფის წევრთა კვლევის შედეგები განხილულია არაერთ საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე, სადაც მისი ნაშრომები ყოველთვის დიდი ყურადღების ცენტრში იყო.**

**ნაყოფიერ სამეცნიერო-საორგანიზაციო მოღვაწეობასთან ერთად თამაზ იამანიძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იყო სამთო მექანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო თუ აკადემიური კომისიისა და საბჭოს წევრი, იგი მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კანონისა და წესდების შექმნაში, იყო ოპონენტი და რეცენზენტი სამეცნიერო ხარისხების დაცვის დროს.**

**დასანანია, რომ აკადემიის რიგებს უდროოდ გამოაკლდა შესანიშნავი მეგობარი და მოქალაქე, აკადემიის საჭირბოროტო საქმეებისათვის თავდადებული და გამორჩეულად ღვაწლმოსილი მამულიშვილი თამაზ იამანიძე.**

**ბატონ თამაზ იამანიძის ღვაწლი ჯეროვნად არის დაფასებული კოლეგებისა და სამეცნიერო საზოგადოების წრეებში.**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობის, ენერგეტიკისა და მართვის პროცესების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მრჩეველი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი**

**თამაზ იამანიძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 21 X, 14 სთ. (ბინიდან). მისამართი: ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის (ყოფილი ბახტრიონის) ქუჩა, მე-15 კორპ., III სად., ბინა 52.**

# სტიქია აჭარაში

**აჭარაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო საგანგებო შტაბი შეიქმნა. შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრ „112“-ში 19 ოქტომბერს შევიდა შეტყობინება იმის შესახებ, რომ აჭარის სანაპირო ზოლში დაფიქსირდა 5-ბალიანი შტორმი. სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრის მიზნით, ბათუმში შეიქმნა კრიზისების მართვის ოპერატიული ცენტრი, რომლის მართვის კოორდინაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი ახორციელებს. ცენტრის შემადგენლობაში შედიან შს სამინისტროს სტრუქტურული დანაყოფები და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი სამსახურები.**

ძლიერი წვიმის შედეგად აჭარაში მდინარეები ადიდდა და კალაპოტიდან გადმოვიდა, რამაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დატბორა. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის მე-20 კილომეტრზე, ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში ადიდებულმა მდინარემ გზას გამოაცალა საყრდენი და საავტომობილო გზის სავალი ნაწილი ნაწილობრივ შევიწროვდა. ადგილზე მობილიზებული არიან შსს-ს აჭარის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივი მოსახლეობის გამოყვანას უზრუნველყოფენ პოლიციის მაღალი გამავლობის ავტომანქანებით.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ თბილისიდან აჭარისა და იმერეთის რეგიონებში მობილიზებულია შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფები შესაბამისი აღჭურვილობითა და ტექნიკით, რომლებიც ადგილობრივ სახანძრო-სამაშველო დანაყოფებთან ერთად სამაშველო ღონისძიებებს ახორციელებენ.




## საქართველო დაბალი რისკის ქვეყნებს მიეკუთვნება

**ამის შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს თემის კომენტირებისას განუცხადა.**

**მისივე თქმით, საქართველოს ჯანდაცვის სისტემა საერთაშორისო რეგულაციებთან სრულ შესაბამისობაში მოქმედებს.**

**„პანიკის არანაირი საფუძველი არ არის. ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა მზადყოფნაშია იმისათვის, რომ საერთაშორისო რეგულაციების შესაბამისად განახორციელოს მეთვალყურეობა. საბედნიეროდ, დღეის მდგომარეობით, არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა და ვადასტურებ კიდევ ერთხელ, რომ ჯანდაცვის სისტემა მზად არის, უპასუხოს ყველა საჭირო გამოწვევებს“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.**

◉ მრავალჟამიერ!..

## მეგობრული სიყვარულით...

ჩემს ღირსეულ მეგობარს, პოლიციის თადარიგის პოლკოვნიკს, სახალხო კაცს **დამირ სოლომონის ძე კუჭავას** გულითადად ვულოცავ სენაკის საპატიო მოქალაქედ არჩევას, ვუსურვებ დიდი ხნის სიცოცხლესა და მოღვაწეობას.

მეგობრული სიყვარულითა და პატივისცემით

**რეზო ფაჩულია**

◉ ინფორმაცია

## ტრაილერი გადაბრუნდა

**თბილისში**, „დინამო“ სტადიონის წინ ბროწეულით დატვირთული ტრაილერი გადაბრუნდა. თვითმხილველების გაცხადებით, სავარაუდოდ, ტრაილერი არასწორად იყო დატვირთული და სწორედ ამიტომ მოხდა მისი გადაყირავება. ტრაილერის მძღოლი თურქია.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ საპატრულო და სახანძრო სამსახურების თანამშრომლები.

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

◉ ვერნისაჟი

# მიშა ცხოვრებაში უნდა გენახათ!..

**ქართველ მხატვართა დიდებულ პლეადაში, რომელიც ქვეყნის სახვითი ხელოვნების ისტორიას მე-20 საუკუნის 80-იანელთა სახელით შემორჩებიან, მიშა იაშვილი უდავოდ უკაშკაშესი ვარსკვლავია. 80-იანელთა ამქრის ერთ-ერთ გამორჩეულ ლიდერს, იდეებით აღსავსე ნოვატორ შემოქმედს (მარტო „კეცების“ სტილი რად ღირს!), სამაგალითო მოქალაქეს, მისაბაძ კაცსა და უერთგულეს მეგობარს, უამრავი მასავით ნიჭიერი მხატვრისა თუ მწერლის უიღბლო ბედი ერგო — ძალთა გაფურჩქვნის ხანაში მყოფს უღალატო გულმა უღალატა...**

ჩვენი კულტურის თანამედროვე ისტორიაში ერთ-ერთი ბრწყინვალე გვარის გამორჩეული წარმომადგენლის ნოდარ (კუკუნა) იაშვილისა და შესანიშნავი უკრაინელი ქალბატონის მარია კუზმენკოს შვილი მიშა, შორეული ციმბირის კრასნოიარსკის მხარეში დაიბადა, სადაც გადასახლებულ მამას ექიმმა დედამ უპატრონა, რომელიც თავადაც შესანიშნავ ლექსებს წერდა და დიდებულად ხატავდა. წლეულს ჩემს უსაყვარლეს, გულითად მეგობარს 60 წელი შეუსრულდებოდა...

ეს თარიღი საქართველოს ხელოვნების ეროვნულ მუზეუმში მიშა იაშვილის უაღრესად ამაღელვებელი, სევდიანი და, ამავდროულად, სადღესასწაულო განწყობის შემქმნელი კიდევ ერთი „არაჩვეულებრივი გამოფენით“ აღინიშნა, რომელზეც მისი ოთხ ათეულამდე მხატვრული ტილოა წარმოდგენილი. კიდევ ერთი-მეთქი იმიტომ, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში მან ცნობილი კინოფილმის ეს სახელწოდება თავის მეგობარ 80-იანელ მხატვართა გამოფენას დაარქვა, რომლითაც ერთი ძველი მიკროავტობუსით ნახევარი საქართველოს მოვლა მოახერხა, დანარჩენის სტუმრობა აღარ დასცალდა...

— გამოფენა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაციის „ბავშვი და გარემოს“ მხარდაჭერით მოეწყო, მხოლოდ მცირედი ნაწილია იმისა, რითაც მიშა იაშვილის შემოქმედებას — მის ფერწერას, გრაფიკასა თუ კოლაჟებს — შეგვიძლია პატივი მივაგოთ, — თქვა გამოფენის გახსნისას ხელოვნების მუზეუმის დროებითი გამოფენის კურატორმა **ლელა წიწუაშვილმა**.










მხატვრის კატალოგის ტექსტის ავტორმა **სამსონ ლეჟავამ** ხაზი გაუსვა იმ არაჩვეულებრივად ამაღლებულ აურას, რომელიც დარბაზში ტრიალებდა.

**— ძნელია წარსულ დროში მეგობარზე ლაპარაკი, რომელსაც, ამის გარდა, როგორც შემოქმედსაც უდიდეს პატივს ვცემ. იგი არისტოკრატულობით გამორჩეული ჭეშმარიტი მსოფლიო მოქალაქე, თანაც ერის ერთგული შვილი იყო. მიშა იაშვილმა არაჩვეულებრივად დახვეწილი გემოვნებითა და სითბოთი შეძლო საკუთარი სათქმელის თქმა,** — აღნიშნა მან.

**— მე ის კაცი ვარ, მიშა იაშვილს ახალგაზრდობიდანვე რომ ვაკვირდებოდი, ვხედავდი, როგორ ყალიბდებოდა და იხვეწებოდა იგი როგორც კაცი, მოქალაქე და შემოქმედი,** — თქვა **გივი შახნაზარმა. — მისი შემოქმედების შესაფასებლად აუცილებელი არ არის კაცი პროფესიონალი იყო, საამისოდ გულით ცქერაა საჭირო. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, ვისაც ეს ბედნიერება არ გერგოთ, მიშა ცხოვრებაში უნდა გენახათ!..**

**ოთარ ტურაბელიძე**

## პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◉ კადრი



◉ ცინცხალი ანეკდოტები

**მომავალი** დედის დღიურიდან:

„ფეხმძიმობის პირველი 15 წამის მსგავსი სიამოვნება ცხოვრებაში არ განმიცდია!“.

* * *

**მეორეკლასელი** სასწავლო წლის პირველ დღეს სკოლიდან დაბრუნდა.

დედა ეკითხება:

— შვილო, აბა, მოყევი, რა სიახლეა სკოლაში?

— დედიკო, ბუტერბროდები ისეა გაძვირებული, რომ ჩვენი ფულით მე, ვანოს, შოთას და მიშიკოს მხოლოდ ერთი ცალი მოგვივიდა. ლიმონათი კი დამრიგებელმა გვიყიდა ნისიად.

* * *

**მოკრივე** ექიმს შესჩივლებს:

— ექიმო, საშინელი უძილობა მაქვს.

— ცხვრების დათვლა თუ გიცდიათ?

— როგორ არა, მაგრამ ცხრამდე როგორც მივდივარ, მაშინვე ფეხზე წამოვხტები ხოლმე!



— **წუხელ** ისეთი კოშმარი მესიზმრა, ისეთი კოშმარი... მერე მთელი ღამე თეთრად გავათენე.

— განა ასეთი რა გესიზმრა?

— რა და თითქოს საზღვაო კრუიზში ვიყავი, მერე ქარიშხალში მოვყევით, გემი ჩაიძირა, მე კი უკაცრიელ კუნძულზე მოვხვდი. გავიხედე და ჩემს გარდა იმ უბედურებას კიდევ ნაომი კემპბელი, ჯულია რობერტსი და კლაუდია შიფერი არ არიან გადარჩენილი?!.

— მერედა, მაგაზე კარგი განა რა უნდა ყოფილიყო?

— ეგ კი ეგრეა, მაგრამ მე რომ ედიტა პიეხა ვიყავი?!

* * *

— **საშინელი** დღე გამითენდა, მთელი დილა მანქანა ვერ დავქოქე!

— რა იყო, რა მოხდა?

— პახმელიაზე ცოლმა გასაღები ჩამომართვა...

* * *

— **ძვირფასო**, შეხედე, რა დიდებულად ჩამაცვეს ფრანგულ მაღაზიაში!

— რას ამბობ, ქალო!.. ჩაგაცვეს კი არა, გაგხადეს!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24